ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 32
კვირა, 20 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათ.-მდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 32
კვირა, 20 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
1905 წ. გამოდის ყოველ დღე, ორშაბათობითაც.
წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს
პრემიად 12 წიგნს
საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.
გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.
გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.
რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო-საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

ქვრივი და შვილები გარდაცვალებულის **ივანე გაბრიელის ძის თულაშვილისა** დიდს მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც პატივი სცეს გარდაცვალებულის ხსოვნას და მათ თანაგრძნობა გამოუცხადეს მწუხარებაში. 1—1

რუსული წიგნები ი. გოგებაშვილისა.
1. **Государственный языкъ** въ грузинскихъ начальныхъ школахъ, პასუხად ბ. ოდოევს. ფასი ექვსი შაური.
2. **Какъ поднять** Кавказскую народ. школу? ფასი ექვსი შაური.
3. **Къ вопросу** о мингрельской начальной школѣ. ფასი ერთი აბაზი
4. **Правда о Тифлисѣ**, მეორე ბევრად შევსებული გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.
(3—6.—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
ვ. ი. მიქინაძე. კბილის—8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
ს ა ღ ა მ ო ს:
ს. ი. ვაწაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში დირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დ ი ლ ა ო ბ ი თ:
მ. ჟ. ჩიძოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:
პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სად ოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ახირებული „პატრიოტობა“

დღეს „ომიანობის“ დროა, ძლიერის საზოგადოებრივ მოძრაობის ხანაა და ამიტომ, უეჭველია, მკითხველს აღარ აკვირვებს ის კერძო ფაქტები, რომლებშიაც ეს ბრძოლა და მოძრაობა იხატება. უმრავლესობა, ასე თუ ისე, შეეჩვია ამ მოვლენას და აღარ აოცებს ძველებურის, ბევრისათვის სატრფიალო, „მყუდროებისა“ და „სიჩუმის“ დარღვევა…

მაგრამ ამ მოვლენას ჯერაც ვერ შეჩვევია ერთი ნაწილი ჩვენი, ესრედ წოდებულ, „საზოგადოებისა“, რომელსაც პატრიოტობა და მამულიშვილური გრძნობები დღემდის თავის მონოპოლიად მიაჩნდა. ეს საწყნარის მოტრფიალე და, უნდა ვიფიქროთ, თვითონაც წყნარი ხალხი დღეს აღელვებულია, ჩვეულებრივი სიდარბაისლე, სიდინჯე დაივიწყა და „საბრძოლველად“ გამოვიდა. ხოლო ბუნება ადამიანისა იმდენად ცვალებადი არაა, რომ არსებითად შეიცვალოს და გადასხვაფერდეს. ამ პრინციპიალურად სიმშვიდის მქადაგებელ ხალხს ბრძოლა და წინააღმდეგობა მარტო საყვედურების სახით შეუძლია…

და ილით, მკითხველო, ვისკენ არის მომართული მათი საყვედურები? ნუ გაიკვირვებთ: ქართულ პრესსისა და ჟურნალისტებისაკენ… გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ ეს უკმაყოფილება იგივეა, რომელიც გამოსთქვეს პრესსის წინააღმდეგ ზოგიერთმა ეგოიზმით გატაცებულ მემამულეებმა. არა, ეს სხვა ჯურის ხალხია, რომელიც იწუნებს აწინდელ პრესსას და ჰგმობს ახალგაზდობის მიმართულებას.

კვირა არ გავა ისე, რომ საყვედურებით სავსე წერილები არ მოგვწერონ, დღე არ დაღამდება ისე, რომ პირს უკან სხვადასხვა ალაგას სიტყვიერადაც უკმაყოფილება არ გამოაცხადონ ახალგაზდობის წინააღმდეგ. და ერთი ვიკითხოთ: რაშია საქმე,—რას უწუნებენ ახალგაზდებს, რაში ჰკიცხავენ ჟურნალისტებს?

თურმე, ნუ იტყვით, აწინდელი ქართული პრესსა და ჟურნალისტები, რომელნიც მეტ „სიჩუმის ტაქტიკას“ არ თანაუგრძნობენ და კლასთა ბრძოლის პრინციპს აღიარებენ,—ყალბ გზაზე აყენებენ საზოგადოებას, ძირს უთხრიან ეროვნულ ერთობასა და მთლიანობას.

ჩვენ, ქართველები,—მსჯელობს ასეთი პატრიოტი,—ყველაფერში ერთმანეთთან შეთანხმებულად უნდა ვცხოვრობდეთ, როგორც განუყოფელი ძმები, რომლებსაც ურთი-ერთ შორის არავითარი საწინააღმდეგო და საცილობელი არა აქვთ-რა. უნდა გვახსოვდეს გარეშე მოქიშპენი და შეერთებულის ძალით უნდა ვცდილობდეთ მათ იერიშის მოგერებას. და ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენვე ერთმანეთში უთანხმოება გავაძლიერეთ, მშრომელ ხალხის ყურადღება მისი ეკონომიურ ინტერესებისაკენ მივაქციეთ და ამგვარად კლასთა და წოდებათა შორის ბრძოლა გავაჩაღეთ. ეროვნული ინტერესი მაღლა სდგას მშრომელ ხალხის ეკონომიურ ინტერესებზე და ამიტომ ეკონომიური უთანასწორობა უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ საერთო ეროვნულ უფლებებსა და ინტერესებზე უნდა ვიფიქროთო…

ეს არის მოკლედ ის აზრი, რომელსაც თავის სიმბოლო სარწმუნოებისად სთვლის ძველი რწმენის არა ერთი და ორი ქართველი პატრიოტი. და, ცხადია, რახან მისი რწმენა ასეთია, მას აქვს უფლება და საფუძველიც საყვედურით მიმართოს მოწინავე აზრების მქადაგებელ პრესსას და მწერლობას…

მაგრამ საყვედურის თქმა კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ მესაყვედურე პირი მართალი არის და მისგან არჩეული გზა სწორია. აუარებელი ფაქტები, რომლებიც დღეს ჩვენ თვალ წინ ხდება, სრულიად შეუგნებელსაც კი უნდა არწმუნებდეს, რომ ერი არ შეადგენს ისეთ განუყოფელ ერთეულს, რომლის ნაწილების ინტერესებიც ყველგან და ყველაფერში ერთმანეთთან შეთანხმებულია. ერში არსებობს სოციალ-ეკონომიური უთანასწორობა, ეკონომიურ ინტერესთა შეუთანხმებლობა, კლასობრივი განხეთქილება. სანამ მშრომელი ხალხი შეგნებული არაა, ეს განხეთქილება ცხოვრებაში, ასე ვთქვათ, დაფარულია და ამიტომ მხოლოდ ცხოვრების ობიექტიურ პირობების მკვლევარისათვის არის შესამჩნევი და გასაგები. ხალხის გათვითცნობიერებისათანავე-კი ეს შარაზე გამოდის და ყველასთვის დასანახი ხდება. ამ გარემოებას ბევრი შეცდომაში შეჰყავს და საქმეში ჩაუხედავ ადამიანს აზრს ულვიძებს, ვითომ ამ ბრძოლის გამჩენი და გამომჩეკი ხელოვნური ქადაგებაა…

რა შეუძლია ასეთ რეალური ცხოვრების განწყობილების წინ პრესსას და მწერლობას? ცხადია, მას არ ძალუძს შეარიგოს და შეათანხმოს ის, რაც ცხოვრებას გაუთიშავს და გაუშორებია. ისეთი წესწყობილება, სადაც ეკონომიური უთანასწორობა და კლასობრივი დანაწილება მოსპობილი იქნება, მხოლოდ სანატრელი იდეალია და ამ იდეალისა აწინდელ ცხოვრებას არაფერი სცხია. ამიტომ პრესსა ვალდებულია, თუ ეს იდეალი მართლა სანატრელ მდგომარეობად მიაჩნია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თანამედროვე ცხოვრებაში არსებულ განწყობილებას და იმისი მხარე დაიჭიროს და მის ინტერესებს ემსახუროს, „ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

მხოლოდ ეს არის მოვალეობა ზნეობრივის ხასიათისა, რომელიც, შეიძლება, ყველას არ ესმოდეს ერთგვარად და ერთნაირად. ამიტომაც აქ აზრთა სხვადასხვაობა და ცილობა შესაძლებელია. მაგრამ არის მეორე გვარი მოვალეობაც, რომელსაც თვით სალი ნაციონალიზმი, თავის ხალხისა და მამულის შეგნებული სიყვარული, ავალებს პრესსას, და ამიტომ იგი ყველა ლოღიკის მაღიარებელ პატრიოტებისაგან საცნობი და მისაღებია.

ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სიღარიბეში იღრჩობა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრით თავისთვის ადამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია. მთელი ერის ძალა და მერმისი ამ მშრომელ ხალხის გარჯა-შრომაზეა დაფუძნებული და მისი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფასა და განწირვას ნიშნავს. «ნაციონალურ უფლებებისთვის» მებრძოლადაც სწორედ ეს ხალხი გამოდის, და არა ის ,,კოხტად ჩაცმული, ჯიბე-სქელი, კუჭ-მაძღარი მოღვაწეები'', რომლებსაც დიდის ხელოვნებით ახასიათებს დღეს ერთი ჩვენი თანამშრომელი.

უაზრო და გაურკვეველ ფრაზების დრო, დიდი ხანია, გაჰქრა. დღეს ცხოვრებამ ნათლად დაანახვა ყველას კლასთა რეალური განწყობილება. ვერც ერთი მოღვაწე ამ განწყობილების წინაშე თვალებს ველარ დახუჭავს,—ბრძოლაში ერთ-ერთ მხარეს უეჭველად უნდა მიემხროს. და კიდეც რომ ირჩიოს მან თავისთვის დაუნახაობა და სინამდვილის დაბენელება, ხალხი სინათლეს რჩეობს და, იმედია, არას დროს არ დათანხმდება დამაძინებელ ნანინას ყური უგდოს და, თავისდა საუბედუროდ, „ყმობის თეორია“ შეითვისოს…

გაზ. „რუსი“ და ეროვნული საკითხი.

რუსეთში ცხოვრობენ მკვიდრი რუსები და არა-რუსებიც,—არა-რუსი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, თითქმის მთელი რუსეთის მესამედია. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ თანამედროვე რუსეთის მდგომარეობა სრულებით არა ჰგავს უწინდელ რუსეთს.

რუსეთი თანდათან განვითარების გზას ადგა და თავის ეროვნულ ტერიტორიას გადასცილდა, მაგრამ მის საზღვრებში მოქცეული სხვადასხვა ერი არ უნდა დარჩეს სამუდამოდ მკვიდრ რუსების მონად, ყოველივე საპოლიტიკო უფლების მოკლებული.

მონობა,—რა სახისაც უნდა იყოს იგი,—ამჟამად ისპობა ყოველგან და ყველაფერში. მართალია, მონობის პრინციპი, რომელზედაც იყო აშენებული ძველი დროისა და საშუალო საუკუნოების წეს-წყობილება, ეხლაც აქა-იქ თავს იჩენს სხვადასხვა სახით (ეკონომიური მონობა, კაპიტალისაგან მშრომელის [illegible]), მაგრამ [illegible] ეხლანდელი მონობა [illegible] გავს უწინდელს..

წინად მონები თუ იტანდნენ მორჩილად თავიანთ მდგომარეობას, ახლა, სამაგიეროდ იბრძვიან, ცდილობენ დაამსხვრიონ თავიანთი ბორკილი.

თუ უნდათ რუსებს უწინდელივით იყოლიონ მონები, წინდაწინვე უნდა იცოდნენ უთუოდ, რომ ამ მონობას მათთვის ვერაფერი სასიამოვნო შედეგი ვეღარ მოჰყვება. უნდა იცოდნენ, რომ ყოველივე მონა, რუსეთის შეურიგებელი მტერი იქმნება შემდეგში.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ნათლადა ხდის იმ სიბრმავეს, რომელსაც იჩენდნენ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთები, როდესაც ჰქადაგებდნენ „განაპირა ადგილების“ გარუსებას, როდესაც ცხოვრებაშიაც ადგნენ ამ პრინციპებს და ძალით „არუსებდნენ“ ყველას.

რუსების ნაციონალისტები იმავე საბუთებით ამართლებდნენ რუსეთში გაბატონებულ ეროვნულ მონობას, რა საბუთებზედაც ამყარებდნენ თავიანთ ბატონობას ბალტიის მხარეში გერმანელები. ჩვენ შემოვიტანეთო აქეთკენ ქრისტიანობა, ჩვენ ვუწყალობეთო აქაურ მცხოვრებლებს ჩვენი ნასუფრალი ევროპის კულტურის ზოგიერთი რამ. ჩვენ დავამყარეთო აქ ხალხის კეთილდღეობა, მონებს ვასწავლეთ შრომა, იმ მონებს, რომელნიც ჩვენ მოსვლამდის ერთმანეთს ჟლეტდნენ… და ამ სიკეთისათვის ბალტიის მხარეში შემოსეული უცხოელები ითხოვენ იქ სამუდამო გაბატონებას…

ასევე ლაპარაკობენ ჩვენებური ნაციონალისტებიც. უნდათ ლუკმა პური გადუგდონ მონას და ამ ვითომდა კეთილდღეობაზე დაამყარონ თავიანთ ბატონობის უფლება.

მაგრამ ეროვნული თავისუფლება, ისტორიულ და კულტურულ თავისებურობის შერჩენის უფლება ჩვენ დროში ხომ ისეთივე აუცილებელია ყოველ ადამიანისთვის, როგორც პიროვნულ თავისუფლების უფლებაც. ადამიანის გადაგვარება, ეროვნების წართმევა ისეთივე ძალ-მომრეობა არის უთუოდ, როგორც რწმენის თავისუფლების მოსპობა, კერძო ცხოვრესის შეუხებლობის უარისყოფა.

ბატონ-ყმობის დროს ბატონი ჰყიდდა თავის ყმებს ცალ-ცალკე, ცოლ-ქმარსაც აშორებდა ერთმანეთს, თითქო ოჯახობა, ცოლ-ქმრობა მხოლოდ მისთვის ყოფილიყოს საჭირო,—თანამედროვე რუსის ნაციონალისტებიც ეროვნულ თავისებურობის არსებობას ხდიან სახელმწიფოში გაბატონებულ ერთ ეროვნების პრივილეგიად!..

უადგილოა თანამედროვე სახელმწიფოში გაბატონებულ და დამორჩილებულ ერთა გაყოფა. დამორჩილებულ, დამონებულ ერთა გადაგვარების პრინციპზე აშენებული ავსტრიის პოლიტიკა შეიქმნა იმის მიზეზად, რომ ეს ოდესღაც ძლიერი სახელმწიფო დაუძლურდა და დაეცა. თვით ისეთ სახელმწიფოში, როგორიც გერმანიაა, სხვადასხვა ეროვნების,—ფრანგების, დანიელებისა და პოლონელების,—დაჩაგვრა ცხოვრების მშვიდობიან მსვლელობას უშლის და მომავალზე ლაპარაკს აძნელებს.

რუსეთში, სადაც ერთ მესამედზე მეტი მცხოვრები არა-რუსია, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, არ შეიძლება უყურადღებოდ დაიტოვოს მათი მისწრაფება და სურვილი, და ეს გარემოება უნდა იქონიოს ყველამ მხედველობაში, როდესაც მსჯელობს სასურველ წეს-წყობილების შესახებ („რუსი“ № 64).

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

18 მარტი.

ტანჟერი, 18 მარტი. (რეიტერი). დილის 8 ს. 30 წ. გერმანიის იმპერატორი მოვიდა. საფრანგეთის გემების ბატარეებმა იმპერატორის პატივსაცემლად რამდენჯერმე ზარბაზნები დასცალეს. იმპერატორმა მიიღო სადარბაზოდ სულთანის წარმომადგენელნი და დიპლომატთა კრებული.

ბერლინი, 18 მარტი. რეიხსტაგმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ცოტაოდენის ცვლილებით. ცვლილებს შეიტანა ხარჯთ-აღრიცხვის კომისიამ.

პეკინი, 18 მარტი. ჩრდილოეთ ჩინეთში დიდი წვიმები მოვიდა. მცხოვრებლები ძალიან გახარებულები არიან და სრული იმედი აქვთ, რომ მოსავალი კარგი იქნება.

ბათუმი, 18 მარტი. გუშინ ქალაქის თვით-მმართველობას, ექსპორტერებს და გემთა აგენტებს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს მუშათა საქმე. გადასწყვიტეს ამოირჩიონ განსაკუთრებული კომისია. განზრახულია დაარსდეს საბირჟო კომიტეტი.

იურიევი-პოდოლისა, 18 მარტი. გამოცხადებულია: ვლადიმირის გუბერნიას ხოლერის გავრცელების შიში მოელისო. იურიევში არსდება სანიტარული კომისია.

ლიბავა, 18 მარტი. ქალაქის საბჭომ არ შეაწუნარა პოლიციის დაბალ მოხელეთა ჯამაგირების მომატება.—კერძო სავაჭრო სასწავლებლის დაარსებას აპირობენ.

ვიატკა, 18 მარტი. შესდგა საერობო კრება. გუბერნატორმა აღნიშნა, მცხოვრებლები გადასახადებით ძალიან გაჭირვებულნი არიან და გადასახადების მომატება შეუძლებელიაო. ზოგან უარი სთქვეს საერობო გადასახადზე. კრებამ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს, სადაც ჯერ-არს, რომ ერთი ნაწილი იმ შვრიისა, რომელიც საინტენდანტო საზოგადოებისთვის არის აქ შეგროვილი, ამავე გუბერნიაშივე დარჩეს. გადადებულია ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად ასი ათასი მანათი. კრებამ დაადგინა, სთხოვოს მთავრობას, რომ ის ხარჯი, რომელიც ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში დასჭირდებათ, ხაზინამ გადაიხადოს.

ბერდიანიკი, 18 მარტი. გემთა მიმოსვლა დაიწყო.

ვილნო, 18 მარტი. ქალაქის საბჭომ ამოირჩია კომისია განსახილველად იმ კითხვებისა, რომლებიც აღნიშნულია 18 თებერვლის რესკრიპტში.

პეტერბურგი, 10 მარტი. დაარსდა კომიტეტი, რომელმაც იმპერატორ ალექსანდრე მესამეს მოსკოვში ძეგლი უნდა აუგოს. თავმჯდომარედ ამ კომიტეტისა უმაღლესის რესკრიპტით დანიშნულია დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

ტანჟერი, 18 მარტი. (ჰავასი). დილის 11 საათის და 45 წუთზე გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ნაპირზე გადმოვიდა; აქ მას მიეგება აბდულ-მალექი, რომელთანაც დიდხანს ისაუბრა; აქვე მიიღო მაროკოელების დელეგაცია. საუბრის დროს მასთან დიპლომატიური კრებული არ ყოფილა. მაროკოელი ჯარი მიეგება იმპერატორს სასახლესთან. ჯარი მუსიკით ფრანგულ არიებს უკრავდა.

კამიშინი, 18 მარტი. საბჭო შუამდგომლობს, რომ ქალაქს დამოუკიდებელი საერობო მართვა-გამგეობა მიენიჭოს.

კიშინიოვი, 18 მარტი. სავაჭრებულთ დადგენილების გამოცემით, სახელოსნოებში შემოღებულ იქმნა ათი საათის სამუშაო დღე.

სამარა, 18 მარტი. ქალაქის საბჭომ თავისი ექიმები დააზღვია.

სიმბირსკი, 18 მარტი. საბჭო შუამდგომლობს, რომ ქალაქის სამკითხველოს ცენზურისაგან ნება-დართულ ყველა გამოცემათა შეძენის უფლება მიეცეს; ნება-დართულ იქმნას აგრეთვე საქალაქო სკოლების მასწავლებელთა საყოველთაო კრებები და მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებათა სხდომები.

კოსტრომა, 18 მარტი. საბჭომ მიიღო იმ კომისიის მოხსენება, რომელიც საქალაქო დებულებაში სასურველ ცვლილებათა მოხდენას აპირობს. ამ მოხსენების აზრით, საჭიროა არჩევნებში ორივე სქესმა მიიღოს მონაწილეობა.

სოხუმი, 18 მარტი. გუშინ, საღამოს ათ საათზე, 10 ვიღაც უცნობი შეიარაღებულნი გასაძარცვავად თავს დაესხნენ მაღაზიას აგარაკს. წაიღეს ფული, ოქრო-ვერცხლის ნივთები და მიიმალნენ.

ბელგრადი, 18 მარტი. ბიტოლიაში მყოფმა დიდ სახელმწიფოთა კონსულებმა ბულგარელთა ორგანიზაციისაგან ცირკულიარული წერილი მიიღეს. ორგანიზაცია აცხადებს, ყოველსავე ღონისძიებას ვიხმართ მაკედონიაში ბერძენთა მოძრაობის წინააღმდეგაო. ბულგარელთა ორგანიზაცია ბრალსა სდებს ბიტოლიაში მყოფ საბერძნეთის კონსულსა და მიტროპოლიტს,—მაკედონელ ბერძნებს ბულგარელ-მაკედონელთა ორგანიზაციის წინააღმდეგ აქეზებდნენო.

ლონდონი, 18 მარტი. მაროკოს საქმეთა შესახებ მოწინავე წერილში გაზ. ,,ტაიმსი'' ამბობს: ,,თუ კი ისეთი გაზეთი, როგორიცაა ვენის ,,ფრემდენბლატტი'', რომელსაც უკუ-უგდია მისი ჩვეულებრივი სიფრთხილე და წინდახედულობა, აცხადებს, რომ ბიულოვის სიტყვა მაროკოს საკითხის შესახებ უფრო აორკეცებს თანაგრძნობას გერმანიის იმპერატორის მაროკოში მისვლისადმი, და რომ საფრანგეთი დარწმუნდა ვილჰელმის მშვიდობის მოყვარეობასა და სამართლიან, გულწრფელ განზრახვაშიო, მაშ, დროა, რომ ახლა სხვა დაინტერესებულმა ერმაც ამოიღოს ხმა და თავისი აზრი გამოსთქვას. როგორცა სჩანს, გაზეთი ,,ფრემდენბლატტი'' ამ დასკვნამდე მისულა და ის კი არა სცოდნია, რომ ტანჟერში მყოფი ბრიტანიის საქმეთა რწმუნებული ინგლისის დედოფლის შეეგებება საფრანგეთის სამხედრო გემით. ეს ღირსშესანიშნავი დემონსტრაცია მომასწავებელია ჩვენის მტკიცე გარდაწყვეტილებისა—უნაკლულოდ შევასრულოთ ჩვენი ხელშეკრულობა, რომელიც საფრანგეთთან გვაქვს დადებული, და ჩვენგან აღთქმული დახმარება აღმოვუჩინოთ. ბრიტანიის ხალხი ძლიერ დიდად აფასებს საფრანგეთთან შეთანხმებას. ამ ცოტა ხანში საფრანგეთისა და ინგლისის ფლოტები ერთმანეთს ინახულებენ და მეგობრულ სალამს უძღვნიან. ესეც ერთი მოხერხებული დრო იქნება, რომ ორმავე მოძმე ერმა ღრმად განამტკიცონ თავიანთი ერთგული მეგობრობა. ინგლისი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთთან კავშირი ერთი უმთავრესი წინდია მშვიდობიანობისა. როგორც ეტყობა, ვენაში იმ მტკიცე აზრისანი ყოფილან, რომ ამ სადაო საქმეში, რომელიც გერმანიამ აღძრა, ჩვენ საფრანგეთს არ დავეხმარებით და მხარს არ დავუჭერთო. თუ მართლა ამნაირი რწმენა კიდევ არსებობს ვენაში, ჩვენ არ დავაყოვნებთ, რომ უარვჰყოთ ასეთი აზრი''.

პენზა, 18 მარტი. საბჭომ წარადგინა განცხადება 106 კაცისა, ქალაქის საზოგადო თვითმმართველობამ მიიღოს ზომები პოლიციის თვითნებობისაგან ქალაქის მცხოვრებლების ჯეროვან დაცვის შესახებაო. აგრეთვე ითხოვენ, პოლიცია ქალაქის თვითმმართველობის უფლების ქვეშ გადავიდესო.

სევასტოპოლი, 18 მარტი. ,,რუსეთის სანაოსნო საზოგადოების'' საქონლის საწყობი დაიწვა. ზარალი 70,000 მანეთისაა.

ხარკოვი, 18 მარტი. საგუბერნიო მკურნალთა საბჭოს თათბირზე გადაწყდა: თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა, დაარსდეს 60-დე საექიმო და საზოგადო ბარაკები, აგრეთვე დაარსდეს ხოლერიანთა ფარდულები 500 ავადმყოფისთვის.

პეტერბურგი, 18 მარტი. ახალის განცხადებისამებრ, ქალაქ ბელოსტოკში ისევე გაძლიერებულ დაცვის დროის წესები იმოქმედებს. სარატოვისა, პოლტავისა, მოგილევისა, ლიფლიანდიისა, ნიჟეგოროდისა და ტომსკის გუბერნატორებს მიეცათ განსაკუთრებული უფლებანი საზოგადოებრივ წესიერებისა და სიმშვიდის დასაცველად. ვიტებსკის მთელი გუბერნია გაძლიერებულ დაცვის დროის წესებს დაუქვემდებარდა.

რადგანაც ხმები დადის, ვითომც ერბოს გადატან-გადმოტანის წესრიგი შეიცვალაო, „პეტერბურგის სააგენტო“ აცნობებს, მომავალ სეზონში ერბოს გადატან გადმოტანის შარმანდელი წეს-რიგი დარჩებაო.

ტანჟერი, 18 მარტი. დღეს დილით გემი «ჰამბურგი», რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია და რომელსაც თან ახლავს კრეისერი «ფრიდრიხ-კარლოსი», შევიდა ნავთსადგურში. საფრანგეთის კრეისერები და ქალაქის ბატარეა ზარბაზნების დაცლით მიესალმნენ. ნაპირზე იდგნენ ანგერთა მოდგმის ადგილობრივნი მკვიდრნი, რომელთაც სიხარულის ნიშნად სროლა ასტეხეს. ვილჰელმი გამოვიდა ნაპირზე და სასახლისკენ ცხენით გაემართა. ქუჩები ხალხით იყო სავსე. აღფრთოვანებული ხალხი ჰყვიროდა: ,,vivat!“ (გაუმარჯოსო).

ადენი, 18 მარტი. ჯიბუთიდან მიდის 16 ნახშირის მზიდავი გემი და თან მიაქვს დაბეჭდილ კონვერტებით ბრძანებანი. ჰფიქრობენ, რომ ეს გემები ან ბატავიაში მიდიან, ან დაიეგო-გარსიაში. როგორც პორტ-ლუისიდან (წმ. მავრიკის კუნძულზე) იუწყებიან, ბალტიის ფლოტის ნახშირის მზიდავი გემი ბატავიის გზით ჰონგკონგს მიდიან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

18 მარტი.

პეტერბურგი, 18 მარტი. „ბირჟევია ვედომოსტის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია დეპეშა, რომელიც ეხება რუსეთ-ჩინეთის ბანკის ზარალს, მუკდენიდან უკან დახევის დროს. ამ დეპეშის გამო, გვთხოვენ განვაცხადოთ: სამხედრო ბარგით დატვირთულ ურმების უკან დახევის დროს, ერთ ნაწილს ამ ურმებისას, რომელზედაც, სხვათა შორის, რუსეთ-ჩინეთის ბანკის სამდიდრე 1,500,000 მანათი და ექვსასი ფუთი ვერცხლი ეწყო— ზარბაზანი და თოფები დაუშინეს. დამცველებმა ურმებს თავი მიანებეს. ჯარმა შემდეგ მაინც დაკარგულ ნივთების უმეტესი ნაწილი იპოვნა და ხარბინში წარადგინა. სულ იპოვეს— 1,400,000 მანათი და 525 ფუთი ვერცხლი. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბანკი ამით სულ არაფერს იზარალებს.

ტოკიო, 18 მარტი. ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკების შესახებ, აქ ხმასაც არ იღებენ. გაზ. „კოკუმინი“ კითხულობს, ნეტა რა დღე დაადგება რუსეთს, თუ ეს მისი გამანადგურებელი და ყოვლად უაზრო ომი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებისათვის კიდევ განაგრძო? სამტრო მოქმედებათა განგრძობა მარტო რუსეთის საწინააღმდეგო ომი კი არა, ყველა დიდ სახელმწიფოთა საერთო აზრისა და მისწრაფების საწინააღმდეგოდ გალაშქრება იქნება. გაზ. „ასახი“ ამბობს,—საფრანგეთის მთავრობამ აცნობა რუსეთს, ბალტიის ესკადრის საფრანგეთის ზღვებსა და ნავთსადგურებში ყოფნა მოუხერხებელიაო. ეს ამბავი იმის მომასწავებელია,—ამბობს გაზეთი,—რომ სრულიად უაზრო ბრძოლის ველისაკენ მგზავრობის განგრძობა იმ ფლოტისა, რომელსაც რუსეთი დიდოკეანეს მეორე ესკადრას უწოდებსო.

ბერლინი, 17 მარტი. პარიზში განუზრახავთ მოიწვიონ კონგრესი ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ვაშინგტონი, 17 მარტი. შეერთებულ შტატების მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ზავის ჩამოსაგდებად გამართულს მოლაპარაკებაში ისე მონაწილეობა არ მიეღო, თუ რომელიმე მეომარი სახელმწიფო არ მიჰმართავდა თხოვნით, მაგრამ ეხლა შესცვალა თავისი გარდაწყვეტილება და მზად არის ჩაერიოს ყველა იმ საქმეში, რაც კი შესაძლოა შეწყნარებულ იქმნას ამა თუ იმ მეომარ სახელმწიფოსაგან. მთავრობა დიდს ყურადღებას აქცევს ყველაფერს, რაც კი ამერიკის ინტერესებს ეხება, და წინააღმდეგია სამშვიდობო კონფერენციისა, რადგანაც არავის არ შეუძლიან ამ თავითვე გაითვალისწინოს ამ კონფერენციის შედეგიო.

ნიუ იორკი, 17 მარტი. ამერიკა ცდილობს კარგად გაიცნოს იაპონელთა ყველა მოთხოვნილებანი. ამერიკის გაზეთები ერთხმად აცხადებენ, ჩინეთის ხელუხლებლობა არამც და არამც არ უნდა დაირღვესო.

(ღამის დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. ბრძოლის ველზე ცვლილება არ მომხდარა. გენ. ლინევიჩი იუწყება, იაპონელთა რაზმები რკინის გზის აღმოსავლეთით გამოჩნდნენო. რუსეთის ჯარის სარდლებს თანდათან სცვლიან. ციმბირის 1 კორპუსის უფროსი, განთქმული გენ. შტაკელბერგი და მანჯურიის ჯარის მთავარ შტაბის უფროსი გენ. სახაროვი სამსახურიდან გადააყენეს. მთავარ შტაბის უფროსობა მანჯურიის პირველ ლაშქრის შტაბის უფროსს გენ. ხარკევიჩს ჩააბარეს. (ნ.).

ქვეყნის ყოველ კუთხიდან იუწყებიან, საცაა რუსეთი და იაპონია შერიგდებიანო. ამის გამო მთელი ქვეყანა დაფაცურდა, მაგრამ რუსეთი და იაპონია მომავალ ბრძოლებისათვის მაინც ენერგიულად ემზადებიან.

ტოკიოდან იუწყებიან, თუმცა ზავის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ ხალხი და მთავრობა ომის გასაგრძელებლად მაინც მხნედ ემზადებაო. ჯარი და ფლოტი ხანგრძლივ ომისთვის ემზადებიან (რ.).

ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიიდან ჯარი განუწყვეტლივ მიდის ბრძოლის ველზეო (რ.).

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იტყობინება, დღეს ან ხვალ იაპონია პოსიეტის ყურეში (ვლადივოსტოკის მახლობლად) დიდ ჯარს გადაიყვანსო (ნ.).

რუსეთის ჯარის ზარალი მუკდენთან. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: რუსეთის ჯარს ჩრდილოეთიდან თანდათან მაშველი ჯარი ემატება. ეხლა გენ. ლინევიჩს 200 ათასამდე კაცი ჰყავს, მაგრამ ამ ჯარის მოწესრიგებასა და დალაგებას დიდი დრო დასჭირდება. დანამდვილებით გავიგე, რომ მუკდენის ბრძოლის დროს რუსებს 105 ათასი კაცი დაუჭრეს და მოუკლეს (ნ. დ.).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება: იაპონიაში 50 ათასამდე ტყვე რუსი მოიყვანეს. ამდენივე მუკდენის მიდამოებში დააბინავეს. გარდა ამისა, რამდენიმე ათასი გზაშია. სულ მუკდენთან იაპონელებმა დახლოვებით 120 ათასი კაცი დაატყვევეს. მაშასადამე, რუსებს მუკდენი 225 ათასი კაცი დასჯდომიათ (ნ. დ.).

კორესპონდენტების დეპეშები. „რუს“-ის კორესპონდენტი გუნჟულინიდან იუწყება: ჩინელები ამბობენ, ვითომ გირინის ძიანძუნს (გუბერნატორს) მარშალ ოიამასაგან წერილი მოსვლოდეს, რომლითაც ოიამა ატყობინებს, 28 მარტს გირინში ვიქნებით. კორესპონდენტი უმატებს: ლიაოიანისა, პორტ-არტურისა და მუკდენის აღებამდე იაპონელები აცხადებდნენ ხოლმე, ამა და ამ ქალაქს ამა და ამ დღეს ავიღებთო. მართლაც და, იმათი წინასწარმეტყველობა მართლდებოდა. ამიტომ ეხლაც, ცოტა არ იყოს, დავფიქრდი, იქნება მართლა 28 მარტს გირინი იაპონელებს დარჩეთ (რ.).

„რუს. სლ.“ს კორესპონდენტი, შტაბის პოლკოვნიკი ობოლეშოვი დეპეშით იუწყება: მუკდენიდან უკან დაწევის დროს მუკდენსა და მის მიდამოებში ბევრი სათნოების დაი დარჩა. ეხლა თითქმის ყველანი დაბრუნდნენ და თავიანთი თავგადასავალი გვიამბეს. დები ამბობენ: იაპონელებმა დაგვინახეს თუ არა, მაშინვე ზრდილობიანად მოგვესალმნენ, გამოგველაპარაკნენ, ექიმებს დაუძახეს, დაჭრილების მოვლაში მოგვეშველნენ და დარაჯები დაგვიყენეს, არავინ არაფერი გავვნოთო. მერე ცალკე სადგომი მოგვცეს, კარგად გვაჭამეს, მოგვასვენეს და მეორე დღეს გამოგვისტუმრეს. აქეთ-იქიდან იაპონელთა დარაჯები მოგვდევდნენ, წინ წითელის ჯვრის ბაირაღით იაპონელი სანიტარი მიგვიძღოდა. ცხენოსნებმა თავიანთი ცხენები ჩვენ დაგვითმეს, თვითონ კი ფეხით გამოგვყვნენ და გზას გვიჩვენებდნენ. სათნოების დები ერთხმად ამტკიცებენ: აქ, ბრძოლის ველზე, თვითონ რუსები უფრო ცუდად გვეპყრობიან, ვიდრე იაპონელები მოგვექცნენო.

ბრძოლის ველზე მრავალი დაჭრილი რუსი დარჩა. დები ამბობენ, ნუ გეშინიათ, იაპონელები ყველას მოსძებნიან და ჩვენზე კარგად მოუვლიანო (რ. ს.).

„ნოვ. ვრ.“-ას კორესპონდენტი იუწყება: მონგოლები და ხუნხუზები ათასობით გადადიან იაპონელთა მხარეს, მოკლე ხანში სამხედრო საქმეს სწავლობენ და მერე ჩვენ გვებრძვიანო. (ნ. ვ.).

ტყვე რუსები. მუკდენის ბრძოლის დროს იაპონელებმა მრავალი რუსის აფიცერი დაატყვევეს. ეს აფიცრები პორტ-არტურის ჯარს ეკუთვნოდნენ, იაპონელებმა დაატყვევეს, პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს, რომ ამ ომში მონაწილეობას აღარ მივიღებთო და გაუშვეს. აფიცრები წამოვიდნენ და მანჯურიის ჯარისკენ გასწიეს. „ნოვ. ვრემია“-ში ვინმე აფიცერი პოლეტიკა ამტკიცებს, ამ აფიცრებს პატიოსანი სიტყვა არ მიუციათო. მე,—სწერს პოლეტიკა,—იაპონელებს სიტყვა მივეცი და ავასრულე კიდეცაო. „რუს“-ის ერთი თანამშრომელი ეკითხება ამ აფიცერს, თუ სიტყვა აასრულეთ, მანდ, მანჯურიაში, რაღას აკეთებთო (ზემოხსენებული აფიცერი და ბევრი სხვაც იმის ამხანაგნიც თვეზე მეტია, რაც მუკდენში არიან). იაპონელებს სიტყვა მიეცით, მანჯურიაში ომის გათავებამდე ფეხი არ შესდგათ, თქვენ კი ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეთ და სიტყვა დაარღვიეთო (რ.).

იაპონიის ახალი სესხი. „ნოვ. ვრ.“-ას ლონდონიდან დეპეშით აცნობებენ: მთელი ქვეყანა იაპონიის სესხზე ლაპარაკობს. მართლაც და, იაპონელებმა ძალიან კარგ პირობებით აუარებელი ფული (300 მილიონი მან.) ისესხეს. გაზეთები ამ ამბავს იაპონელთა გამარჯვებას აწერენ. გამარჯვების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიის ვაჭრობას, რომელიც ამ ბოლო დროს საოცრად მატულობს. ეხლა თვით საფრანგეთი და გერმანიაც სთხოვენ იაპონიას, ფული ჩვენგანაც ისესხეთო. ყველა გაზეთი იაპონიის შინაურსა და გარეშე მდგომარეობას აქებს, ცამდე აჰყავს, რუსეთისას კი— აძაგებს და ჰკიცხავს (ნ. ვ.).

ზავი. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: რუსეთი მზად არის იაპონიას ბევრი რამ დაუთმოს. იაპონია კონტრიბუციას უეჭველად მოითხოვს, რადგან ამ ფულით ახალ ფლოტს გაიჩენს და რუსეთს ნახევარ საუკუნით მაინც შეუბოჭავს ხელ-ფეხს (რ.).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება: იაპონია მზად არის რუსეთს შეურიგდეს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ინგლისმა და ამერიკამ 50 წლის განმავლობაში რუსეთს თვალყური ადევნონ და აიძულონ, რომ ამ ხნის განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთში ომი არ დაიწყოსო (რ.).

«ნოვ. ვრ.“-ას კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება: ერთმა მკოდნე კაცმა მითხრა, ყველა პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ სამიოდე თვის შემდეგ რუსეთი და იაპონია შერიგდებიანო (ნ. ვ.).

იაპონიის იმპერატორთან. ვინმე გ. გ. 1901 წ. იაპონიის იმპერატორთან ყოფილა. „რუს. ვედომოსტ“-ში ბ-ნი გ. ამ დროს იგონებს და სწერს: მე და რუსეთის საელჩოს წევრი დარბაზში ვიდექით. დარბაზში ჩვენს გარდა იდგა რამდენიმე მინისტრი და უმაღლესი მოხელე. საელჩოს წევრი მეუბნებოდა: აგერ, ხედავთ იმ მსუქანსა და გაბღენძილ კაცსა? ეგ მარკიზი ავაო ოიამა გახლავთ. ოიამა ღრმად განათლებული კაცია. სამხედრო საქმე ზედმიწევნით იცის. 1870 წ. საფრანგეთში იყო და პარიზის აღებასაც დაესწრო. ეხლა ოიამა საარტილერიო, საინჟინერო საქმეში და საალყე ომში ავტორიტეტად ითვლება. 1894 წ. ოიამამ ჩინელებს ვეიჰაივეი და პორტ-არტური ადვილად წაართვა. ოიამას მარჯვნივ სდგას ვიკონტი აოკი, განთქმული დიპლომატი. აგერ ის, ოიამასთან რომ მივიდა, მთელს იაპონიაში ყველაზე განთქმული კაცია. შეხედეთ, მუხლები ეკეცება, ხელ ფეხი უთრთის, გამხდარია და ჩონჩხსა ჰგავს, მაგრამ რუსეთის პირველი მტერი ეგ არის. ეგ გახლავთ განთქმული ფელდმარშალი იამაგატა. მაგასა და მარკიზ იტოს რუსეთი ჭირივით ეჯავრებათ ნანგრევსა ჰგავს, მაგრამ ნამდვილად მაგაზე ენერგიული და მხნე კაცი იაპონიაში არ არის. ისეთი სწრაფი, მახვილი და გამჭრიახი ჭკუა აქვს, რომ მთელი იაპონია მაგ ჩონჩხს ვეფხვს ეძახის. მაგას უნდა ვუფრთხილდეთ, თორემ, ადრე თუ გვიან, მახეში გაგვაბამს.

იგივე გ. გ. სწერს: 1868 წელს იაპონიაში აჯანყება მოხდა. აჯანყებულნი დამარცხდნენ. მიკადომ (ეხლანდელმა) აუარებელი ხალხი დააჭერინა და საჯაროდ გაარჩევინა იმათი საქმე. იმოდენა ხალხიდან 100 კაცამდე დაისაჯა. ამ აჯანყების შემდეგ მიკადომ მუცუხიტომ გენიალური პატრიოტობა გამოიჩინა: მიკადომ გადასწყვიტა, ეს ხალხი პირად ინტერესებისთვის კი არა, სამშობლოს სიყვარულით აჯანყდა და, მაშასადამე, დამნაშავეც არ არისო. ამიტომ მიკადომ აჯანყების მოთავენი დიდ ადგილებსა და საზღვარ-გარედ ელჩებად დანიშნა და საჯაროდ გამოაცხადა: აჯანყებულებმა დაამტკიცეს, რომ თავიანთი სამშობლო ძალიან უყვართ, ამიტომ ვენდობი მათ და სამსახურში ვიწვევო. მიკადო მართლაც არ მოსტყუვდა. ბევრი მაშინდელი მეამბოხე ეხლა განთქმული მოღვაწეა იაპონიაში (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 19 მარტი. სამღვდელოების კრებამ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრ ბულიგინთან, რომ მის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში მიწვეულ იქმნენ ქართველ სამღვდელოების წარმომადგენელნიც. კრებამ მოისმინა სამრევლო სასწავლებელთა რევიზორის ტიხომიროვის მოხსენების აზრი ქართულ ენის განდევნის შესახებ და გამოაცხადა თავისი გულის წყრომა ამნაირ ანტიპედაგოგიურ აზრის გამო, რომელიც შეუწყნარებლად იცნო. კრებამ შეიმუშავა რვა სხვადასხვა მოთხოვნილება.

ახალი ამბავი

გზათა მინისტრის დეპეშა გვაუწყებს: **პირველი მაისი ჩარიცხულია დღესასწაულთა რიცხვში;** იდღესასწაულებენ კავკასიის ყველა დეპოთა და უმთავრეს სახელოსნოთა მუშები (პრ. პობერეჟ. № 632).

✦ გუშინწინ, 18 მარტს, საღამოთი ნავთლუღის სადგურზე ჩავიდა რკინის გზის უფროსის თანაშემწე, რომელმაც **გაფიცულ მუშა-მოსამსახურეებს** უთხრა, ვისაც სამსახური არ უნდა, გავიდესო. ამასთანავე მოსამსახურეთა ბარგი შინიდან გამოაყრევინა. მუშებმა მშვიდობიანად განუცხადეს—ჩვენ ცუდს საქმეს არ ვჩადივართ, ძალას არ ვხმარობთ, სამსახურიც გვინდა, მხო-

ფელეტონი

სიმღერა

მათრია წუთისოფელმა
და მომათრია დღემდისა,
ნასვამი მხამი, ნაღველი
დღეს, ვხედავ, ტკბება ჩემთვისა.
მზედ იქცა გულში მთრთოლარე
იმედი, ოდნავ მბჟუტავი;
კვდება, სულსა ჰლევს ვეშაპი,
ქვეყნისთვის სისხლის მსუტავი.
ფრთები შეისხა ოცნებამ
მტკივანი წელი მირჩება.—
თითოს წელს ათასად ჩავთვლი,
რაც წარსულს გადამირჩება.
ამიერიდან ჭაღარაც
შავ-ფერად გარდაიქმნება;
მირჩება გულის წყლულები,
რჩება სნეული ოცნება:
ტუდება მონობის ბორკილი,
დღესასწაულობს გონება.
ღმერთმა უშველოს იმათა,
ვინც მიექმა, მიწამლა.
ჩემ სარგოდ სისხლი დაღვარა
იმათ მხნე გულის ფიცარმა.
განა იმათი მკლავები
უნდა შეჭამოს მიწამა?!
განა მარტო მე? ბევრ სხვასა—
ტანჯულს, დაჩაგრულს მონასა,
ვინაც შიშველი ზურგითა
ჰზიდავდა ეკლის კონასა,
დაადვეს წყლულზე მალამო,—
ეშველოს იმათ ბრძოლასა!
კარგების წესი ყოფილა,
დღესაც ისევე ესია:
აბედნიერებს ქვეყანას,
რაც იმათ დაუთესია.
ვაშა მათ მოღვაწეობას,
ვაშა მათ ამაყს დროშასა.
ნეტარ ხსენება ჩვენ მიერ
მათ სისხლით მორწყულს შრომასა!

ვაჟა-ფშაველა!

სასაცილო და სამწუხარო.

დიაღ! ამ დიდებულს ხანაში ბევრი რამ ხდება სასაცილო, მაგრამ ამავე დროს მწარე და სამწუხაროა მისი ნაყოფი!..

მაშ რაა, თუ არ სასაცილო, რომ უმრავლესობის მოძრაობისა და სამართლიან მოთხოვნილებების დასამხობად ისევ იმ ძალებს ვიწვევთ, რომელმაც გაგვანადგურა, გაგვხრწნა და აწინდელს უფერულ პირობებში ჩაგვაგდო?!.

მაგრამ ჩვენგან ასეთი ზომების მიღება უფრო სამწუხაროა...

ზოგიერთი სუსტი წევრი ჩვენის საზოგადოებისა ისე გახრწნილა, ისე გაუტაცნია ანგარებას, ისე უღალატნია ზნეობრივს მოვალეობას და ისე გასჯდომია ძვალ-რბილში ქვენა გრძნობანი, რომ ჯაშუშობასაც სიამოვნებით და გაუწითლებლად ასრულებს.

აი, ეს არის სწორედ სამწუხარო და მხოლოდ სამწუხარო!..

დღეს, როდესაც ვეებერთელა სახელმწიფოს მცხოვრებთა უმრავლესობა ანგრევს ძველის, უვარგისის, დახავსებულისა და შავის ჭირით გაჟღენთილ ცხოვრების კედლებს და ახალს ნიადაგზე სუფთა, თავისუფალ ცხოვრების საძირკველს იწყებს,—ამ დროს „ზოგიერთები“ მოჰყოლიან კერძო ანგარიშებს, გოდებას და ჰუჰყუნობენ: „ვაი, რა გვეშველება, აქნამდის რომ ვთარეშობდით, აწი ველარ ვითარეშებთო, დღემდის რომ ვბატონობდით, იმას ბოლო ელება, წარსულში რომ ჩვენ ძმებს ვატყავებდით, აწი ველარ გავბედავთ და მონებიც არ გვეყოლებაო!“..

სამწუხაროა, მაშ რაა?..

ვწუწუნებთ წინსვლა-თავისუფლებაზე და ადამიანურ უფლებების არ ქონაზე, მაგრამ „ზოგიერთ ,,ანტი-პატრიოტებს'' როგორ ესმით წინსვლა და თავისუფლება? ამას ნათლად გვიჩვენებს ფაქტი ,,დიდ-აზროვანთა'' გეგმებისა,—ამბობენ ,,ჩვენ, როგორც გეროლდიაში დამტკიცებული'' მაღალი წოდება—წინ და თქვენ, როგორც მდაბალნი ,,**ულრამოტონი**''—უკან; და თუ ამ წესს გადასცდა ვინმე, მავნე პირია და სამშობლოს ,,მოღალატეო!''...

სწორედ სასაცილოა ამგვარი მიმართულება, მაგრამ რა ექნათ, რომ სამწუხაროა?!.

ერთი ნაწილი ჩვენის ქვეყნისა ხსნა-შველას იმაში ხედავს, რომ გაიხსენონ ძველ-ძველი რუსეთთან შეერთების პირობის ქაღალდები და ამით რუსეთს სირცხვილი აჭამოს—მოგვატყუვა, დაპირება არ შეგვისრულაო. მაგრამ, ჯერ ერთი პირ-გატეხილ დედაკაცის სირცხვილის ჭმევა სასაცილოა და, მეორე, ასეთის საშუალებით ცხოვრების გაუმჯობესება ხომ იმავე პირების ინიციატივაა, რომელნიც საჯაროდ ჰღაღადებენ: ,,ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩვენვე მოგვენიჭოს და ნახავთ, როგორ დავაწყობთ ქვეყნის საქმეებსაო“... მაგრამ დაჩაგრული უმრავლესობა პასუხს იძლევა: ,,არა, ბატონებო! გვახსოვს თქვენი ბატონ-პატრონობის გემო-სამართლიანობა: პირუტყვი ერთხელ გაიტყავება, ხოლო ჩვენ-კი ბევრჯელ გვატყავდით და აწი აღარ მოვსტყუვდებითო; თუ ინებებთ, ერთი მეორის სვე-ბედი **გავიზიაროთ**, თორემ ჩვენთვის ერთია, პეტროვი გაგვაძრობს ტყავს თუ ქართველიშვილი.

ჩვენ ვთხოულობთ ცხოვრებისთვის ადამიანურ პირობებს, ხოლო ბრძოლასაც მას ვუცხადებთ, ვინც ამ უფლებების მოპოვებას დაგვიშლისო“..!

მაგრამ აი სამწუხარო: ზოგიერთები უმრავლესობის ამნაირ მოთხოვნილებას უარსაჰყოფენ, ქვეყნის „მოღალატედ“ სთვლიან ასეთ აზრების მიმდევარს და რკინის მუშტით ფიქრობენ წესწყობილების (თუ უწესოების?) დამკვიდრებას...

ეს კი სასაცილოა...

თუ როგორ ვუყურებთ ხალხის დღევანდელს მოძრაობას, მშვიდობიანობისა და ერთობის დასამყარებლად და აზრთა სხვადასხვაობას ვიჩენთ,—ამის საუკეთესო ნიმუში გურია არის და დღეს ქართველ ,,თავად-აზნაურთა'' კერძო თათბირი (იხ. ,,ივერია'' № 20).

ერთი მემამულეთაგანი ბრძანებს: «გლეხ-კაცები ჩვენზე ძალას ხმარობენ, ჩვენც ძალით უნდა შევეგებოთო. უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან **ჩავაქროთ მოძრაობა**; ჩვენ უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები, მთავრობას ვსთხოვოთ, რომ ჯარი მოგვცეს ამ სტიქიურ ძალის მოსასპობადაო».

აი, როგორი საშუალებისათვის მიუმართნია ბ-ნ მემამულეს მოძრაობის ,,**ჩასაქრობად**''. იქმნება ჯარის ბელადობას თვითონ კისრულობს და ამ სურვილით მოსდიოდეს ასეთი «**შეცდომა**».

სასაცილოა,..

მეორე ბრძანებს: «მეც ვუერთდები პირველის აზრს, რადგან გლეხები ღალის შემცირებას თხოულობენ და, ღალა რომ შევუმციროთ, ხომ მოვკვედი შიმშილითო!»..

ეს მეორე-კი განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ უფრო ,,კუჭის პატრიოტი“ ყოფილა...

აი, სასაცილო და სამწუხარო!..

მესამე ბრძანებს: ,,გავგზავნოთ სოფლებში თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და ხალხს აუხსნან, რომ მათი უბედურების მიზეზი თავად-აზნაურობა კი არ არის, არამედ დღევანდელი ცხოვრების საერთო და აუტანელი პირობებიო!..

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ბ-ნ მესამეს რად ავიწყდება, თუ ვინ იყვნენ აწინდელ აუტანელ ცხოვრების საკირეში ჩამგდებნი, ანუ დღეს ვინ არის უსამართლო ბიუროკრატიის მომხრე და სათავეში მდგომი?!.

მეოთხე ბრძანებს: „მოგვცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული (თუ გაყიდულ-გაცემული?) მიწაწყალი, რომელიც ეხლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას აძლევს, ქართველს გარდა, და მაშინ ,,**იქნება ზოგმა**'' ჩვენთაგანმა დაუთმოს გლეხ-კაცს თავის ადგილებიდან ,,ზოგირამ'' იმ პირობით-კი, რომ სამაგიერო მიიღოს ხაზინის მამულებშიო''.

დიდად საყურადღებო იქმნებოდა ბ-ნ მეოთხის ჩვეულებრივი სალი აზრი ამ შემთხვევაშიაც, მაგრამ მისი აზრი აქ სამართლის წინაშე ცოტათი კოჭლობს. გამოდის, რომ, თუ ღმერთმან ინება და ბევრი ქონება შევიძინე, ცოტარამ, შეიძლება, გარგუნო, და ისიც საეჭვოდ მიაჩნია, თუ არა და შენ მშიერი იყავი და მე ისევ მაძღარს გადაჰქარბებულიო. სად არის აქ სამართალი? მამა, რომელმაც გასცა, გაჰყიდა მცირე-წლოვან უგუნურ ობლების დედულ-მამული, პირად ღირსებისა და უზრუნველყოფის მოსაპოვებლად, ფუფუნება-სიტკბოებისა და ჩინ-ორდენებისათვის, —ეუბნება უკვე გონმოსულ, მომწიფებულს შვილებს, აჰა რაც სიბრიყვით დამიკარგავს, დაიბრუნეთ და იცხოვრეთ, თორემ, რაც ხელში მაქვს, ის მე თვითონ მჭირია, მიჩვეული ვარ ტკბილს ცხოვრებას და აწიც ასე უნდა ვიცხოვრო, თორემ მოვისპობიო; და თუ ასე არ მოიქცევით, შემაწუხებთ და უმაღლესს დარბაზებში კეთილ-საიმედო პირის სახელს გამიტეხთ,—უღირსი შვილები იქმნებით და სამშობლოს **მოღალატენიო!**“...

მაშ თუ ეს ასე არის, ვინ არის ვალდებული, რომ გონებით მომწიფებულს და მშიერს შვილს სარჩო-საბადებელი მისცეს? ვინ არის ვალდებული, რომ შვილის მძიმე ტვირთი შეამსუბუქოს? მამა, რომელიც ტკბილ-თბილ ცხოვრებას ეწევა და რომელმაც გაჰყიდა ოჯახის დიდება და თავისუფლება, თუ შვილი, რომელიც მონა იყო და არის სრულიად უუფლებო?!. რად ააშფოთა ყველანი სოფლელების შინაურმა მოძრაობამ? რად ხმარობდნენ ამ მოძრაობის მოსასპობად სხვადასხვა უგვარ საშუალებებს, თუ მარტო „მე“ არ უძევს სარჩულად მათ მოსაზრებას?!.

კიდევ ბევრი რამ თქმულა ამავ „თათბირზე“, მაგრამ ფრიად საყურადღებოა ევროპაში „განათლებულ“ ახალგაზდა თავადის ახლად „**გამონაჩეკი**“ აზრი: როდესაც მართლაც და პატივსადები წინადადება მიუციათ საზოგადოებისათვის ზოგიერთებს, ისეთი კომისია შევადგინოთ, რომელიც ბატონ-ყმას შეარიგებსო და ამ კომისიაში კი მოჰყვეს პრესსის წარმომადგენელნიცო... ამ დროს წამოვარდნილა, სხვათშორის, ჩვენი „**განათლებული**“ თავადი (სჩანს, რომ განათლებულია, და მეცნიერი, თორემ აქნამდის რად არ ვიცოდით, თუ პრესსა იყო ქვეყნის ამომგდები!) და ბრძანებს: „პრესსას უნდა ამოვხოცოთ ერთმანეთიო, პრესსაა ყველაფრის ამრევი, მავნე აზრების მქადაგებელი და „ბუნტის თავიო“, და კიდევ სხვა...

აი, მადლობა შენთვის უფალო, რომ მოგვეც ისეთი მაღალ „განსწავლული“ პირი! რაც არ ვიცოდით და არ გვეგონა, ისეთი სულ „**ცხელ-ცხელი**“, „**ახალ ახალი**“ რამ გაგვაგონა ..

მაგრამ სასაცილო ის არის, რომ არ ვიცით, ჩვენმა თავადმა რად არჩია „**ზაგრანიცაში განათლების**“ მიღება, თუ მარტო მავნე პირების ძიებაში განვითარდებოდა! განა ჩვენში ცოტანი არიან ასეთების მასწავლებელნი და სპეციალისტნი?!.

სწორედ სასაცილოა!..

სამწუხარო ის ყოფილა, რომ აწინდელს გახრწნილს ცხოვრებას, უსამართლო ბიუროკრატიას და მისს ბრმა დამქაშებს პრესსა ებრძვის და მათ წინააღმდეგ დაჩაგრულ უმრავლესობას აფხიზლებს და გვერდში უდგია...

ჰო და, ღმერთმან შეუნდოს პრესსას შეცოდებანი მისნი... ჩვენ კი მოგვენიჭოს გონებრივი სისაღე, სამართლის პირდაპირ შეხედვა და ერთობა!... დიაღ, ერთობა, რომელიც ძარღვია კულტურულ ძლიერებისა. ვისაც არა სურს ბედნიერება, რომელსაც ჰქმნის და იცავს ერთობა, მას მშვიდობა მიეცეს, ხოლო უმრავლესობის თვალში კი ასეთები მუდამ ხორც-მეტები არიან და იქმნებიან შემდეგში!...

ლ. დადეშქელიანი.

ზღა-დაზღა

(შთაბეჭდილებანი)

რა სისწრაფით მიიჩქარის მატარებელი! რა გულმოდგინედ უშვებს კვამლს და აბნევს მას უსაზღვრო სივრცეში.

ჩქარობს. ეშურება ჩქარა მიაღწიოს სადგურს, სადაც მას ასობით მოელის ხალხი, ჩაისვას ისინი და გააქანოს შორს, შორს; ზოგი ჩამოდის, ზოგი ადის და ამრიგად იცვლება შინაარსი მატარებლისა.

ასევეა ცხოვრება. მიისწრაფის წინ, შთაბეჭდილებას შთაბეჭდილებაზე სცვლის, ძველს ცხოვრების კანონებს ახლებზე—უფრო საუკეთესოებზე.

მხოლოდ ერთი ძირითადი განსხვავებაა ამ შე-

ლოდ ჩვენი **მდგომარეობა გააუმჯობესეთ**, რომ რიგიანად ვიცხოვროთო. სხვათა შორის, გაფიცულთ უთხოვნიათ ტანისამოსი მოგვეცესო.

✦ 18 მარტს, რკინის გზის მეშვიდე ნაწილის **გაფიცულ მუშა-მოსამსახურებმა**, რიცხვით 400—500 კაცმა, რომელთა შორის იყვნენ ქართველები, რუსები, თათრები და სომხები, საერთოდ მოილაპარაკეს და პირი-პირს მისცეს — ნურაფერს წავახდენთ, ნურც რკინის გზის რელსებს შევეხებით, ნურც სხვა რამეს, მშვიდობიანად ვიყვნეთ და, ვიდრე ჩვენს მდგომარეობას გააუმჯობესებენ, ნუ ვიმუშავებთო.

ამავე **დღეს**, საღამოთი, გაფიცულთა რაიონში **ჯარი** გაიგზავნა. რკინის გზის **ლიანდაგს** ღამ-ღამეობით **ჯარის-კაცები სდარაჯობენ.**

✦ სანამ რკინის გზაზე გაფიცულ მუშების მოთხოვნილებას განიხილავდნენ, ამიერ-კავკასიის **რკინის გზების უფროსმა საჭიროდ სცნო** მუშებს ეხლავე ზოგიერთი შეღავათი მისცეს. უფროსის ბრძანებით, ზაფხულის თვეებში დაწესდა 10 საათის სამუშაო დღე. ამ რიცხვში, ერთი საათი საუზმისა და ორი—სადილის საჭმელად იქნება დანიშნული. ზამთრობით მუშაობა 9 საათს გაგრძელდება. ვისაც კვირა-უქმე დღეს ამუშავებენ, უნდა მიეცეთ ერთ-ნახევარი ფასი. ამას გარდა, უფროსმა გასცა განკარგულება, რომ 1, 2, 3, 4 და 5 ნაწილების (ბათუმის მხარეზე) დღიურ მუშებს მიეცეთ დღეში—80 კ.; მე-14 და 15 ნაწილებისას (ყარსის მხარეზე)—70 კ.; მე-8, 9, 10, 11, 12 და 16 (ბაქოსა და ერევნის მხარეზე)—75 კ.; მე 6 და 7 (ტფილისის მხარეზე)—87 კ. ეს ბრძანება მუშებს დაუყოვნებლივ უნდა გამოეცხადოს.

✦ ამ ბოლო ხანებში სხვადასხვა სოფლებში დაწყებულმა **ხალხის მოძრაობამ** ბევრი მღვდელი გამოამგზავრა ტფილისისაკენ, რომელნიც ექსარხოსს აცყობინებენ—გლეხები უკმაყოფილებას გვიცხადებენ, დაწესებულს გადასახადს არ გვაძლევენ და რამე შემწეობა აღმოგვიჩინეთო.

✦ მიმდინარე წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო განიხილავს საკითხს ბავშვ არტისტების შესახებ, **სამინისტროს აზრადა აქვს დაიცას თეატრებსა და სხვა გასართობ ადგილებში მყოფი ბავშვები** ანტრეპრენიორებისა და ამ გასართობ ადგილების პატრონთა ძალმომრეობისაგანა; სამინისტრომ ცნობები მოსთხოვა ტფილისის თეატრებსაც.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის შუამდგომლობის თანახმად, უმაღლესად ნება დაურთავთ **ხაზინიდან ყოველ-წლიური შემწეობა აღმოუჩინოს კავკასიის ზოგიერთა სახალხო სასწავლებელთ** საპროფესიონალო საგნების სწავლებისათვის.

✦ ზოგიერთა ქალაქებმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, **რომ ნება მიეცეთ ხაზინიდან სესხის აღებისა**; ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს უცნობებია გუბერნატორისათვის, ამიერიდან ამისთანა შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქნება, რადგანაც სახელმწიფო ხაზინამ ამჟამად უნდა დააკმაყოფილოს საზოგადო-სახემწიფო საჭიროებანიო.

ქალაქებს შეუძლიანთ სესხი აიღონ ბანკებისა და საოპერაციო კრედიტებისგანაო.

✦ სამშაბათს, 22 მარტს, **დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.** კრებამ უნდა გამოარკვიოს ის ზომები, რომელიც კავკასიაში სამეურნეო მრეწველობას გააფართოვებს.

✦ დღეს, 20 მარტს, დილის 11 საათზე, დანიშნულია **წევრთ საზოგადო კრება ტფილისის დურგალთა არტელისა.** კრებამ უნდა განიხილოს წარსული წლის ანგარიში, აირჩიოს ზოგიერთი თანამდებობის კაცი და სხვა.

✦ დღეს, 20 მარტს, **ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია** წევრთა საზოგადო კრება **ურთიერთ ცეცხლისგან დამზღვევ საზოგადოებისა.** კრება განიხილავს გამგეობის მოქმედების ანგარიშს, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას და აირჩევს გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრებს, რომლებთაც ვადა გაუვიდათ.

✦ მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია ართვინის **ზეთის ხილის სანერგე წელსვე გააფართოვოს.** საჭირო თანხა უკვე გადაუდვია.

✦ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შეუტანია **თამბაქოს წესდების ახალი პროექტი;** როგორც გადმოგვცეს ამ პროექტით უმთავრესად შეცვლილი იქნება აწ არსებულის წესდების ის მუხლები, რომელნიც ეხება სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს აქციზსა; სამინისტროს მოუთხოვნია კავკასიიდან თამბაქოს მრეწველობის შესახები ცნობები.

✦ ხმა დადის, რომ **ამიერ კავკასიის რკინის გზების მთავარ-კონტროლერად გადმოჰყავთ** სამარა-ზლატოუსტის რკინის გზის მთავარ-კონტროლერი ბ-ნი ტიტოვიო.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზების მთავარ-კონტროლერის სამმართველოში კონტროლერობის თანაშემწეთა ცოლებიც ქმრებთან ერთად მსახურებენ. სახელმწიფო კონტროლერმა მოსწერა სამმართველოს უფროსის თანამდებ. აღმასრულებელს **კონტროლერის ცოლებს ნება არ მისცეთ ქმრებთან ერთად იმსახურონო.** ეს განკარგულება ჯერ სისრულეში არ მოუყვანიათ.

✦ **სახაზინო პალატის განკარგულებით,** დაარსებულა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს ტფილისის სახლის პატრონთა შორის საერო გარდასახადის განაწილებისა და მოკრების საქმე!

✦ ტფილისში **არსდება სამთო სამრეწველო საზოგადოება,** რომელსაც აზრად აქვს მოძებნოს და შეიმუშაოს მადნეულობა ამიერ კავკასიაში. საზოგადოებას თანხად ერთი მილიონი მანათი ექნება.

✦ 18 მარტს, ბაქოს რკინის გზის სადგურზე ქ. ვოლსკის მცხოვრები, თევდორე ნაროშკინი, როდესაც სახალხო მატარებელი დაძრულა, საფეხურზე შემხტარა, მაგრამ ფეხი დასცდენია, ვაგონის თვლებში ჩავარდნილა და მარცხენა ფეხი მოუჭრია. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

ოფიციალური ცნობა.

(გაზ. „კავკაზი“ № 74)

12 მარტიდან დაწყებული გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობა დღითი-დღე მწვავდება. გორის მაზრის დასავლეთ და შუაგულ ნაწილების ოსებმაც დაიწყეს მთის სოფლებიდან ჩამოსვლა და დიდრონ ჯგუფებად თავმოყრილნი დათარეშობენ მემამულეთა სახლ-კარსა და ადგილებში, რითაც ადგილობრივ გლეხებთან ერთად უფრო აძლიერებენ უწესოებას. რადგანაც ოსთა უმეტესობა ადგილობრივ ჰხდის არაყსა და იქვე სვამს, ხშირად შეხვდებით დამთვრალთ, რომელნიც უფრო აღელვებენ გლეხებს.

სოფლის მოხელენი გულხელ-დაკრეფილნი არიან, რადგანაც გლეხებმა ისინი თანამდებობიდან დაითხოვეს. ბევრგან სოფლის კანცელარიებში საბუთის ქაღალდები გაანადგურეს; სოფლის ფოსტა ან სულ არ მოქმედობს, ან და დიდის გაჭირვებით, რის გამოც ფოსტა გვიანდება და პაკეტები ან წერილები ხან დახეული მოაქვთ და ხან გახსნილი. ზოგიერთ მომრიგებელ შუა კაცთა მოქმედებაც ძალ-უნებურად შეჩერებულია.

დაბა ცხინვალში თავი შეიყარა მახლობელ სოფლებიდან გლეხობამ—რამდენიმე ათასმა კაცმა,—და მოითხოვა ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლისა და სასოფლო ექიმის გაძევება. გლეხები მემამულეებისაგან თხოულობენ ხელწერილს, რომ სახნავი მიწები უფასოდ დაეთმოთ და ტყით სარგებლობის ნებაც ჰქონდეთ. მემამულეთა მოსამსახურეებსა და მუშებს ეუბნებიან, ამიერიდან აღარ ემსახუროთ მაგათ, თორემ მოგკლავთო; ამის გამო მემამულეთა სახლ-კარი, ცხვრის ფარა და სხვა საქონლის ჯოგი უპატრონოდაა მიტოვებული, ხოლო მემამულეთა უმრავლესობა იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა სახლ-კარი და ადგილ-მამული, რის გამოც დიდი ზარალი მოსდით.

მოძრაობა იმდენად გამწვავდა, რომ უკანასკნელ დღეებში იმ კომისიას,—რომელიც კავკ. უმაღლეს მთავრობის განკარგულებით იყო გაგზავნილი გორის მაზრაში და რომელსაც ბ-ნი ვეიდენბაუმი მეთაურობდა (ვეიდენბაუმი უკვე დაბრუნდა ტფილისში),—გლეხებმა მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს, ბოლოს კი სულ უარი განაცხადეს,—კომისიის მოწვევით არ შევიკრიბებითო.

14 მარტს ქ. გორში ჯოხებით შეიარაღებულმა დიდძალმა ხალხმა უწესოება მოახდინა და სახლებსა და სავაჭროებში ფანჯრები ჩალეწა; აღმართეს წითელი დროშა მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით. ერთს ქუჩაზე ხალხმა წრე შემოავლო 6 ჯარის კაცისაგან შემდგარს პატრულს და თოფების წართმევა მოუნდომა. პატრული იძულებული იყო ბრბო მოეგერებინა და თავის დასაცველად ჯარის-კაცებმა თოფები ისროლეს. ბრბოდან დაიჭრა 10 კაცი, მათგან ერთი უკვე მოკვდა. შეჯგუფებული ხალხი მყისვე დაიშალა.

დარღვეულ წესიერების აღსადგენად გორის მაზრაში გაიგზავნა კიდევ, წინად გაგზავნილ ჯარებს გარდა, კაზაკთა ორი ასეული და ქვეითა ჯარის ერთი როტა; ამასთანავე, უკვე შემუშავებულია საჭირო ღონისძიებანი აღელვებულ გლეხთა და იმათ მეთაურთა დასასჯელად.

ქუთაისის ცხოვრება

ქუთაისის დურგალთა და მეჩექმეთა მოთხოვნილებანი.

1) საქმის ამღებ ოსტატს ნება არა აქვს ორი შეგირდი იყოლიოს; უნდა ჰყვდეს მხოლოდ ერთი. შეგირდის ვადა ექვს თვეზე რომ დადგება, ნება აქვს მეორე, ახალი შეგირდი, აიყვანოს და ერთიც ქარგალი იყოლიოს.

2) ვიდრე აღებულ საქმეს არ გაათავებს, ოსტატს ნება არა აქვს, მეორე ახალი საქმე აიღოს. მხოლოდ შეუძლია ამუშაოს 25-დან 50 მან. ღირებულ „პაჩინკაზე“. საქმის ამღებ ოსტატს, თუ შემთხვევამ მოიტანა, ნება აქვს დღიურ ქირაზე წავიდეს.

3) დღიური მომუშავე დაიწყებს მუშაობას 1 აპრილიდან აგვისტოს დამლევამდის დილის 7 საათიდან და იმუშავებს მზის ჩასვლამდე. მოსვენება დილით საუზმეზე ნახევარი საათი, სადილად ერთი საათი; დანარჩენ თვეებში მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდის უნდა იმუშაოს და დასვენება ექნება სადილად 1 საათი.

4) ოსტატი საქმის პატრონი რომ ნაჭრად საქმეს გასცემს, მან ამღებს ფასი უნდა მისცეს იმ ნიხრზე, როგორცაა ამ ხელობაში დაწესებული, მხოლოდ საქმის გამცემმა უნდა აიღოს საშრომლად ყოველ მანათზე 20 კაპ.

5) ოსტატი და ადა როცა ერთმანეთში ვერ მორიგდებიან, ადამ ოსტატი უნდა დაითხოვოს. ამ შემთხვევაში იმათ უნდა მოიყვანონ უსტაბაში და მისი თანაშემწე და იმათ თანადასწრებით უნდა მორიგდნენ ერთმანეთში და მაშინ ნება ექნება ოსტატი ამუშაოს ადამ; და თუ ასე არ შესწორდებიან ერთმანეთში, ადას არ აქვს ნება ოსტატი ამუშაოს და არც სხვა ოსტატმა იმუშაოს.

6) 1905 წ. მარტის 1-ლე რაც შეგირდება აყვანილი, იმათ უნდა შეასრულონ ვადა, მხოლოდ უნდა გადაიხანჯოს მათი პირობა უსტაბაშმა და მისმა თანაშემწემ. 1905 წ. მარტიდან ნება არ ექნება რომელიმე დურგალმა აიყვანოს შეგირდი სამი წლიდან 5 წლიანზე ნაკლები ვადით.

7) ყველა შეგირდის ოსტატი ამყვანი ვალდებულია შეგირდი და ხელშეკრულობა წარუდგინოს უსტაბაშსა და მის თანაშემწეს.

8) ვისაც არ შეუძლია და არ ეკუთვნის შეგირდის სწავლება როგორც ხელობის, ისე ყოფა-ქცევის მხრივ, იმას ნება არა აქვს შეგირდი აიყვანოს.

9) ზემოხსენებულ ნიხრის და წესების შესრულებას ვალდებულნი ვართ ქუთაისის დურგალთ ხელოსნები. აგრეთვე ვალდებულნი ვართ ვიხადოთ თვეში 10 კაპ. თითოეულმა ხელოსანმა ისევ ჩვენ ხელოსანთა გაჭირვებულ და დაღუპულ ქვრივ-ობლების დასახმარებლად. ყველამ 10 კაპ. გადამხდელმა უნდა მიიღოს დაბეჭდილი კვიტანცია უსტაბაშისა ან მისი თანაშემწისაგან. ზემოხსენებულ ნიხრის და წესების თანახმანი ვართ ყველანი. ამასთან უცოდინარ ხელოსანს დურგალს ნება არა აქვს შეგირდი აიყვანოს.

10) კვირა-დღეობით შეგირდებს ნება გვაქვს საკვირაო სკოლებში თავისუფლად ვიაროთ 11 საათიდან 3 საათამდე.

მეჩექმეების წარმომადგენლებმა: ქარგლებმა და შეგირდებმა შემდეგი მოსთხოვეს ამ ხელობის ადებს:

1. თორმეტი საათის სამუშაო დღე, როგორც ქარგლების, ისე შეგირდებისათვის. დასასვენებელი დღის საუზმეზე ნახევარი საათი, სადილისთვის კი ერთი საათი.
2. მუშაობა უნდა დაიწყონ 1 აპრილიდან დილის 7 საათზე და გათავდეს საღამოს შვიდზე;—1 ოქტომბრიდან დაიწყება 8 საათზე და გათავდება საღამოს რვაზე.
3. აკრძალულ იქმნას ნაჭრობით მუშაობა და დადგინდეს თვიური ჯამაგირები.
4. აკრძალულ იქმნას კვირა-უქმე დღეებში მუშაობა.
5. ზრდილობიანი მოქცევა ადებისაგან.
6. გაუმჯობესობა ბინისა, სისუფთავის მხრივ.

ამ მოთხოვნილებების წარმომადგენელნი, ეტყობათ ძლიერ დაბეჩავებულნი უნდა იყვნენ, რომ პირველსავე მუხლში მეტად ზომიერ (სხვა აქაურ მოთხოვნილებებთან შედარებით) მოთხოვნილებას—12 საათის სამუშაოს ჯერდებიან. მათ დღემდე არსებულ 16—18 საათის სამუშაოდან 4—6 საათის ჩამოგდების მეტი ვეღარ გაუბედნიათ. მაგრამ ამ პირველი ნაბიჯიდანა ჩანს, რომ იმათშიაც გაღვიძებულა თვითცნობიერების, თავიანთ დაბეჩავებული მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილი. ეს კი სხვა უფრო უკეთესის თავდებია.

ის—არიძე.

სადღეისო

მეთაურია?..

კობტად ჩაცმული,—ჯიბე-სქელი, კუჭ მაძღარი,—ქუჩაში დადის, დასეირნობს... კმაყოფილია!

ესმის შორიდან ხალხის კვნესა, მისი ჩივილი, ესმის ჩაგრულთა გულ-საკლავი მწარე ტირილი, ესმის და მაინც მხიარულობს, არ იტკენს გულსა და თავმომწონედ ქუჩა-ქუჩა დაიარება...

მას არ აწუხებს ქვეყნის ჭირი, მისი ვაება, ულუკმა-პუროდ დარჩენილთა ღრმა მწუხარება!.

მხოლოდ თუ სადმე შეხვდა ნაცნობს, იწყებს ლაპარაკს, ამბობს, რომ უნდა ქვეყანად იყოს ბედნიერება, უნდა მოისპოს სამუდამოდ ძალმომრეობა, უნდა დამყარდეს მაგიერად ძმობა-ერთობა და ყველასათვის სათაყვანო .. თანასწორობა!

ამბობს... და თვითონ—ჯიბე-სქელი, კუჭი-მაძღარი—ქუჩაში დადის, დასეირნობს, კმაყოფილია!

—

ამნაირ კაცსაც საზოგადო მოღვაწე ჰქვია და ხალხიც აქებს და ადიდებს, ეთაყვანება!

სიტყვით ძლიერი, სიტყვით უხვი,—სულით ღატაკი,—საქმეს გაურბის, ნამდვილ საქმეს შეშინებული!

ან როგორ უნდა ემსახუროს ხალხის მომავალს, როცა არა აქვს შეგნებული ხალხის სურვილი, რომ ეშინია ამ სურვილის გამომღვიძებლების და უნდა საქმე გაარიგოს...

...ხვეწნა-მუდარით!..

იმ დროს, როდესაც ხალხი იბრძვის თავის ბედისთვის, როდესაც ბრძოლით საჭიროა მომავლის შექმნა, როდესაც ყველა ბრძოლის ველზე გამოსულია და თავსა სწირავს მოძმის ბედსა, საერო საქმეს,—

ჩვენი მოღვაწე არხეინად კრებებში დადის, ი,! დამშვიდებით ლაპარაკობს, მსჯელობს, ბაასობს...

და თავ-მომწონედ,—ჯიბე სქელი, კუჭი—მაძღარი,—ქუჩაში დადის, დასეირნობს... კმაყოფილია!..

—

დიდი ხანია ყურს ვუგდებდით მის სჯა-ბაასსა, დიდი ხანია ვასრულებდით მის დარიგებას, და მასთან ერთად მუხლ-მოდრეკით ვთხოვდით წყალობას იმ ბედს, - უწყალოს,—რომელმაც ჩვენ გაგვანადგურა!..

მის დარიგებით ჩვენ ვითმენდით ძალმომრეობას და ვგუობდით ქედ-მოხრილნი ძალას დამჩაგვრელს, ვეღარ ვბედავდით შიშისაგან ხმის ამოღებას, ბორკილს ვისხამდით, ვამყარებდით ჩვენში მონობას!..

ასე არ იყო?!—მათხოვარი იგივ მონაა! მონა გახრწნილი, სულ-მდაბალი, ზნე-დაცემული!

მათხოვნელი გლახა მონაზედაც უარესია!..

და მათხოვრობას გვასწავლიდა ჩვენი მოღვაწე, ხელ-გაშვერილი უნდა გვევლო ჩვენ სხვის კარებზე, სხვის ნასუფრალის მიღებაზე გვეთქვა მადლობა..

და თვით მოღვაწე ამ დროს იდგა განზე, განცხრომით დროს ატარებდა ლაპარაკით და ახლაც ხშირად...

თავ-მომწონედ,—ჯიბე-სქელი, კუჭი— მაძღარი, —ქუჩაში დადის, დასეირნობს... კმაყოფილია!

—

ფუ, ამ კაცობას, ფუ, ამ აზრებს, მონობის შემქმ-

დარებაში. მაშინ, როდესაც მატარებელში მჯდომი ადამიანი სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევს, თვალყურს არ ადევნებს მატარებლის თვლის თითოეულ გადატრიალებას—ადამიანი ცხოვრების მაჯის ცემას გაფაციცებით აკვირდება და მის-და გვარად ჰქმნის თავის აზრებს რეალურ ფორმებში, მხოლოდ ყველანი კი არა...

ვერ იქმნა, დროთა დენამ ვერ შესცვალა ბ-ნ სუვორინის, გრინგმუტის, თავ. მეშჩერსკისა და სხვების დახავსებული აზრები, ვერ დაჰბერა მათ ცხოვრებამ თავისი სულის ჩამდგმელი სიო.

ალბად ესინი უძლეველნი ყოფილან!

ნეტარება მათ!

მათ სრულიად არა ჰკავს ის ახალგაზრდა თავადიშვილი, რომელმაც, ეს იყო, ვაგონში მუსაიფი გამიმართა.

იმდენი იხერხა ამ თავადიშვილმა, რომ მამცნო თვისი საიდუმლო, გამიზიარა გულის პასუხი. რადა, რა ნდობა გამოვიწვიე მასში?

რა და ის, რომ დამანახვა ნათლად, ვითომ ისიც კაცია და კაცი—დროს შესაფერი, რომ მასაც შესძლებია „საქმის“ გაკეთება, რომ მას ჰქონია და აქვს კიდეც დამოკიდებულება რაღაცა „კომიტეტთან“, რომ ის თამამად გაუყოფს გლეხკაცებს თავის ქონების სამ მეხუთედსაც, რომ ძლიერ გულშემატკივარია და ყოველთვის იყო და იქნება გლეხის ჭირ-ვარამის მოზიარე.

ვერ უყურებთ, რა ღვაწლი მიუძღვის მომავალ საერთო ბედნიერების დამყარებაში! ეგ კი არა და, თურმე ქვეყანაზე რაიმე აზრისა ყველაზე დრო და ცხოვრება საუკეთესო პროპაგანდისტები ყოფილან. წარმოიდგინეთ ამ ულმობელ ცხოვრებას თვისი კლანჭი მღვდლისთვისაც კი მოუდვია და ისე მაგრა ჩაუსვამს, რომ მისი ამოძრობა არ შეუძლიან არავის, გარდა თვით ცხოვრებისა, იმ ცხოვრებისა, რომელიც ახალ, ნორჩ, სამართლიან ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს შემდეგში. შუაში იდგა ხანში შესული, დაბალი ტანისა, პირაღანძული, გახუნებულ ანაფორაში ჩაცმული მღვდელი და თავგამოდებით, გატაცებული რიხიანად ღაღადებდა:

— ვეღარ გაუძლო ხალხმა ამოდენა უკუღმართობას, ცარცვა-გლეჯას, უსამართლობას, ძალმომრეობას, პიროვნების მიწასთან გასწორებას. სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ და ჩვენ, მარტო ჩვენ მღვდლები რამდენს ვართმევთ საცოდავ, გაღატაკებულს, ნახევარზე მშიერ გლეხობას; ეს კოლის პურიო, ეს საწირავიო, ეს მოსანათლიო, ეს საქორწილოო, ეს ესაო და სხვა... მერე რათა? ვისი ბრალია? ჩვენ კი არ გვებრალება ჩვენი მოძმეები? რას ვიზამთ, ჯამაგირები რომ არა გვაქვს, ცოლშვილი გვიტირის, პურის ჭამა უნდათ.. ნება-უნებურად ადგები და გლეხს მიადგები სათხოვნელად, თუმცა გრძნობ შენს უსამართლო მოთხოვნილებას. მოგვცეს ჯამაგირი ხაზინამ და, თუ ჩვენ გლეხს ხმა გავცეთ მაგის შესახებ, სული წაგვიწყდეს.

რა გულით-ღა უნდა მოვიდეს საღამოთი გლეხი აღსარების სათქმელად, გლეხი, რომელსაც დილას თავისი საზრდო შუა გავუყავი?

— მაშ ეხლა რა უნდა ილონოთ, მამაო! —ჰკითხა ერთმა იქ მდგომთაგანმა, გადმოყუდებულმა ზევითა თაროდან.

—რა? რა და ის, რომ ეკლესიაში მოთმინების ქადაგების მაგივრად უნდა სიმართლე ვაუწყოთ ხალხს და მით მივცეთ შეძლება ამ სიბნელეში გაიკვლიონ გზა კვალი სანათლისაკენ..

და მაშინ თვითონ ხალხი, **თავის ნებით,** უძალ-მომრეოთ, გაცხოვრებს, ვინაიდან თქვენ მისცემთ გონებრივ საზრდოს.—დაუმატა მანვე.

სწორედ გადამდებ სენივით მოედო ჩვენს მხარეს ახალი აზრები! ყველგან, ყველანი, დიდი, პატარა, თავადი თუ გლეხი, ბერი თუ ერი, დამჩაგვრელი თუ დაჩაგრული სულ დროის მოთხოვნილებებზე ლაპარაკობენ, ყველას „ბუნტი“ და „ერთობა“ აკერია პირზე

საკვირველი ის არის, რომ ყველა ცდილობს თავისი თავი დაუსურათხატოს მოსაუბრეს, როგორც გლეხი კაცის მომხრემ, მისი დაჩაგრული მდგომარეობის მოზიარემ და ყოველ წუთს მისი ხელის შემწყობმა და მფარველმა. სად იყვნენ აქამდის? მერე რა! ცუდია თუ? ეს ლაპარაკი ჩქარა საქმედ იქცევა. ასე იცის ყოველთვის დროთა დენამ!

აგერ ვაგონში ისედაც ვიწრო სკამებ შუა გასავალი ადგილი დაუჭერია რამდენსამე კაცს, გვერდის სკამზე ცალ-მუხლით დაყრდნობილი დგას ჯარის კაცი და გაცხარებით ბაასობს გლეხი კაცის გაჭირვებაზე და იმ მოვლენაზე, რომ ამ გაჭირვების შესახებ თვალი აიხილა გლეხმაო; ხსნიდა იმ რთულ მექანიზმის წყობილებს, რომელსაც უწოდებენ სახელმწიფო წესწყობილებას... ამბობდა, გლეხი კაცი არის მონობის ბოძი, რომელზედაც დამყარებულია მონობა...

სადგურზე ერთ თავადს გამოვესაუბრე. მის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, მისი აღფრთოვანებული სახე ამტკიცებდა, რომ იგი რიღათიც ძლიერ ნასიამოვნებია. ვერ მოვითმინე და ვკითხე სიხარულის მიზეზი.

— მახარებს, რომ ამ „ერთობაში“ ისეთი ხალხი ჩაერია, რომელიც უშლის ხალხს ძარცვა-გლეჯას, წვა-დაგვას. რა, განა ჩვენ წინააღმდეგი გვაქვს რამე თუ? სრულიადაც არა! რათ, მუშაობა არ ვიცი განაო. ქალამნებს განა მე კი ვერ ამოვისხამ და ვერ ჩავიცვამ?! ჩემი მარჯვენა რით დაუვარდება სხვისას? მაშ მოდი რაღა, ხელი ხელს და მადლი ღმერთს, აი დედასა! მტერმა ჩვენზე უნდა გაიცინოს?

ქართლში მამასახლისებს, მწერლებს თავის ნებით (თუ ძალაუნებურად) აუღიათ ხელი თავიანთ „თანამდებობაზე“, უიმათოთაც მოვრიგდებითო, ამბობდა გლეხი; მადლობა ღმერთს, ეხლა იასაული ვეღარ წამოგვადგება თავზე და უკანასკნელ ჩოხას ვეღარ გამიტანს გასასყიდად! ერთ გლეხს „კომისიის“ შესახებ გავუკარი სიტყვა. ვკითხე: იყო თქვენსა თავადაზნაურთა წინამძღოლი-მეთქი.

— იყო! თუ იყო, ბევრი რამ კი მოგვცა აი! მერე იმას რა უნდა შევჩივლოთ? საჩივარი იმაზედა გვაქვს და იმასთან ვიჩივლოთ! მერე მოსამართლედ ვინ იქნება? თვითონ?

გავცდი ხაშურს და იმერეთის სიომ დაჰბერა... ვაგონში ეხლა უმეტესად იმერლებია, გურულები, მეგრელები და სხვა.

ახმაურდა ვაგონი. აქამდის თუ ქართლელს გამოკითხვა და ჩიჩინი უნდოდა, რომ ეთქვა რამე,—ეხლა უშენოდ გამოგესაუბრებოდნენ და თამამად აღიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს.

— დასამალი რაი მაქვს? ამბობდა გურული ქალი, ხანში შესული, შავი დიდრონი თვალებიანი.—თვით „კლიმგირეის“ (კირიმ-გირეი) ვაუწყეთ ჩვენი ვარამი და აქანაი რეიზა დევმალო, რაიცა მტკივა მას ქე ვუბნოფ... უპასუხა მან მეზობელ ქალს, რომელმაც შენიშნა მას, გაფრთხილდიო

ბევრი ილაპარაკა ამ ქალმა და მის საუბარს ეტყობოდა აზრთა ლოღიკური დენა, დასაბუთება და სხვადასხვა მოსაზრებებისაგან გამომდინარე დასკვნა.

მისი რიხიანი, გამბედავი და გულის სიღრმიდან ამონახეთქი ხმა იმონებდა მსმენელებს.

რამდენ ჩვენთ განათლებულ ქალისთვის სამაგალითო იყო ის ქალი? თავისი მჭევრმეტყველობა დაასრულა შემდეგით:—ჩვენი როდი გვინდა, რომ წყალობას ვთხოვილობდეთ, სრულიადაც არა! ჩვენა გვაქვს უფლება წამოვაყენოთ ჩვენი მოთხოვნილება; შეგვისრულებენ—კარგი, არა და, იმდენი თავგანწირულება, შესმენა კიდევ აქვს ყოველის ჩვენგანს, რომ თავისი თავი შესწიროს ხალხის აუცილებელ საჭიროებას. რაც შეეხება ჩვენს ვითომ-და დამშვიდებას არ ვიცი, თუ ვისმე გონია მისი შეძლება და, თუ გონიათ, ძლიერ შემცდარან,—სულ ერთია, იმედი გაუცრუვდებათ. ჩვენს ხალხს გეეხსნა იარა და მის სიღრმიდან გადმოსჩქეფს ჩირქი. მისი მოწმენდა და იარის პირის შეკვრა ასე ადვილად არ შეიძლება, საჭიროა ძირიანად მისი ამოჭრა და მოწმენდილ ნიადაგზე სხვა ახალი ხალხის აღმოცენება...

ამას მიაღწევს, ვისაც ექნება შეგნება ამისი აუცილებელი საჭიროებისა, თავგანწირულობა და ბრძოლის სურვილი. საქმეს ვერ გაარიგებს ვერც თხოვნა, ვერც დამცირება!

აქამდის სადგურის აუცილებელ ნიშანს ადგენდნენ სადგურის უფროსი, თავისი წითელი ქუდით, და ზარი, სადგურის ამხმაურებელი,—ეხლა კი ყველა ამას მიჰმატებია ყვირილიდან დაწყებული ვიდრე ბათუმამდე ყველა სადგურზე რამდენიმე ვაგონიბინა სალდათ ყაზახებისა, თვით სადგურზე რამდენიმე სალდათი, თვისი განუშორებელ არგუმენტით-ხიშტით და ყაზახ-რუსი—თვისი აღზნებულ თვალებითა და მათრახით, როგორც მისი არსებობის დამამტკიცებელ საბუთით.

მივუახლოვდი ბათუმს. აგერ ზღვა თვისი თვალ-უწვდენელი ოდნავ მოძრავის სივრცით.

როგორ დუღდუნებს თავისთვის! რაღასაც ფიქრობს და ეს ფიქრი ისე ჩაუხუტნია გულის სიღრმეში, რომ თითქო ეშინია,—არავინ წამართვასო...

იმედია, ჩვენც გაგვიზიარებს თავის გულის თქმას. ვნახოთ—გავიგებთ, დრო გვაჩვენებს.

ზღვა ჯავრობს. რაზე? არ ვიცი, მხოლოდ ვგრძნობ, რომ მისი ჯავრი გადმოსცდება მის ზღუდე-კიდეებს, შეეხება დედა-მიწას და... მოედება მთლად არე-მარეს.

ვნახავთ!

ი. ხ.

...დაჰკა, ჩინა!...

(ძველი ამბავი).

ჩინა სცემდა .. ჩინამ კარგად იცოდა—რამდენ სისხლსაც აღენდა მონას, ორ იმდენს ჯილდოსა და მადლობას მიიღებდა თავის ბრძანებელისაგან, და ამ რწმენით გატაცებული, სისხლით დამთვრალი და თავისს ბატონისადმი ერთგულებით გატაცებული ჩინა შეკრულ წკეპლებს გაშმაგებით იქნევდა და სცემდა...

...დაჰკა, ჩინა!...

ბრძანებდა ბატონი და დონჯ-შემოყრილი სიამოვნებით დასცქეროდა ამ სურათს... კმაყოფილი ბატონი ამაყად იდგა, ცალ ხელში თავისი დღიური ეჭირა, მეორეში კალამი და ბრძანებდა:

...დაჰკა, ჩინა!.. მაგრად!..

...ჰაერში მოქნეული წკეპლების შხუილი, მონის გულშემზარავ კვნესასთან შეერთებული, ოთახში დაზუზუნებდა.

მონა იწვა პირქვე დაჩხობილი, ხელ-ფეხ შეკრული, მოძრაობა არა ჰქონდა და ყოველ დაკვრაზე მხოლოდ კვნესოდა... გმინავდა...

ჩინა სცემდა... ცალი ფეხი მონის კისერზე დაებჯინა და ერთი ხელი რომ დაეღლებოდა, მეორეს მიიშველებდა...

არც სიბრალული, არც კაცთ-მოყვარეობა, არც მოძმის სიყვარული?!..

გონება დაკარგულს დავიწყებოდა, რომ მის ფეხ-ქვეშ ეგდო შეკრულ-შებოჭილი მონა,—მისი საკუთარი ძმა, მისი სისხლ-ხორცი... მონის მწარე ტოკვა მას ახალ ძალ-ღონეს უმატებდა, გულ-შემზარავი იმისი კვნესა სმენას უტკბობდა. მის თვალებში იხატებოდა მხოლოდ კმაყოფილება და ბატონისაგან საჩუქრისა და მადლობის მოლოდინი... ხელიც კი არ უთრთოდა! სიამოვნებით დასცქეროდა მონის ტანიდან გადმონთხეულ სისხლის ნაკადულს და ხშირად ბატონსაც გადახედავდა ხოლმე—თითქო ეკითხებოდა: „კმაყოფილი ბრძანდებით თუ არაო“?..

ბატონიც თავის კმაყოფილებას ჩინას არ უმალავდა. ხან-გამოშვებით თავისი ბოროტის ღიმილით გააბედნიერებდა და წასაქეზებლად ეუბნებოდა:

... დაჰკა, ჩინა! ნუ გეშინია! მე აქ არა ვარ?..

ჩინა გამხნევდა... გაბედულობა მოეცა... ამისთანა ძლიერი მფარველი თავზე ადგია—ვინ რას დააკლებს?!..

წკეპლის შხუილმა და მონის კვნესამ უფრო იმატა.

„..ოჰ... ჩინო, რად გავიწყდება ღმერთი?..“ რა დამიშავებია? რათა მკლავ?.. შენ მაინც რაღას მერჩი? შენც ხომ ჩემისთანა ადამიანი, ჩემსავით მონა ხარ?.. შემიბრალე!..

— ხმა ჩაიწყვიტე, თავხედო!.. დაიყვირა ჩინამ და მოქნეული წკეპლები ზურგზედ დაჰკრა.. სისხლმა ითქრიალა... მონა დადუმდა...

როგორ, ბატონის წინაშე მეუბნევი: „შენც ჩემისთანა ადამიანი, ჩემსავით მონა ხარო“?... ამ თავხედობამ ჩინა უფრო გააბრაზა, უფრო აამხედრა!

„ჰმ... ვიღაცა მონის შებრალებისათვის ჩინამ დაჰკარგოს ბატონისაგან ჯილდო, მისი მადლობა?! რას მიქვიან სიბრალული!

ნელს! გამოფხიზლებულს ხალხს არ უნდა ეგეთი ყოფა, თავისუფლების მოტრფიალეს გლახის ტომარა აღარ შეშვენის, აღარ უნდა... განქრა მონობა!

და მასთან ერთად განქრა სადღაც ძველების რჩევა, რომ მხოლოდ სიტყვით მოვიპოვოთ ბედნიერება!

სიტყვა არ კმარა, საქმე უნდა, საქმე დიდი!..

ამას მოითხოვს თვით ცხოვრება!.. და ვისაც უნდა არ ჩამორჩეს სხვებს და იგემოს ახალ ცხოვრების ბედნიერი წესწყობილება, უნდა ისაქმოს, უნდა ბრძოლით აჯობოს მტერსა, თავი გასწიროს საქმისათვის, მომავლისათვის.

და აი, ასეთ დროს, როცა ისმის ბრძოლის ჰანგები, ჩვენი მოღვაწე უსაქმურად გაჩერებულა..

და თავმომწონედ,—ჯიბე-სქელი, კუჭი—მაძღარი,—ქუჩაში დადის, დასეირნობს... კმაყოფილია!

—

ხალხი შეწუხდა, ისმის მისი კვნესა-ვაება, ჰაერი ხალხის მწუხარებით მომძიმებულა, ძალმომრეობა სუფევს ყველგან და სულს უხუთავს ხალხს უმწეობა და დაჩაგვრა გამუდმებული.

ამ დროს კრებაში თავმომწონედ ჩვენი მოღვაწე ლამაზ სიტყვებით ამკობს ხალხს და თავსაც იწონებს, ამბობს, რომ არის ვალდებული ყველა იშრომოს, საერთო შრომით მოიპოვოს ბედნიერება.

ამბობს, რომ ძმობა და ერთობა ხალხს აძლიერებს და ყველა, დიდი და პატარა, ღარიბ-მდიდარი, უნდა ცდილობდეს ერთმანეთსა ხელი შეუწყოს და საქმის დროსაც ერთმანეთსაც აღარ დაშორდეს.

ამბობს და თვითონ სიტყვის შემდეგ გაჰქრა სადღაცა... კრება დასტოვა, ჩუმად გარედ გამოიპარა, სამშვიდობოში შეაფარა თავი და ახლაც თავმომწონედ,—ჯიბე-სქელი, კუჭი—მაძღარი—ქუჩაში დადის, ლაპარაკობს... კმაყოფილია!

—

ასეთი კაცი თუ ყოფილა,—ნუღარ იქნება! ნუ გაიგონებს სამათხოვრო რჩევასა ხალხი...

და ვისაც უნდა ხალხში ჰქონდეს პატივისცემა, სიტყვის მაგიერ საქმე იწყოს, საქმე დიდი...

მომავლის კარი გაღებულა, მოსჩანს ნათელი, ამომავალი მზე ანათებს ჩვენს არე-მარეს და, მზის სხივებში გახვეული, ჩვენი ქვეყანა, ხარობს, თამაშობს, მშობელივით გვეალერსება...

ქვეყანა ხარობს, მხოლოდ ხალხი კვნესის და ოხრავს, დაჩაგვრას ებრძვის, ველარ იტანს მძიმე უღელსა, მეთაურს ეძებს, ვერ უნახავს, ან სად ნახავდა?..

ხალხთან არ არის, განზე გადგა, გაჩერებულა...

ხალხს ემდურება .. ბედს უჩივის... და უფრო ხშირად...

კოხტად ჩაცმული,—ჯიბე სქელი, კუჭი—მაძღარი,—ქუჩაში დადის, ლაპარაკობს, ...შეშინებულა...

ნ. ნ.

პრესის მდგომარეობა რუსეთში.

მშვენივრად ახასიათებს ბეჭდვითი სიტყვის თანამედროვე მდგომარეობას ს. ნ. ტრუბეცკოი თავის წერილში, რომელიც დაბეჭდილია „რუს. უწყებების“ № 70-ში.

12 დეკემბერს 1904 წლ.,—სწერს ტრუბეცკოი,—ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ რუსული ბეჭდვითი სიტყვა შემავიწროებელ განკარგულებათაგან განთავისუფლებული ყოფილიყო. უმაღლესი ბრძანების შემდეგ რამდენიმე გაზეთი დაიხურა და, ცოტად თუ ბევრად, პროგრესიულ გამოცემათ აეკრძალა გაზეთის ცალკე ნომრების ყიდვა. სამაგიეროდ, სახელმწიფო საბჭოს წევრის კობეკოს თავმჯდომარეობით, შესდგა კომისია, სადაც მოწვეულ იქმნენ ბ-ნნი სუვორინი, თავ. მეშჩერსკი, თავ. წერთელევი, სმანინი, გოლიცინ-მურავლინი, იუზეკოვიჩი—პატივსაცემი კრებული, რომელსაც გრინგმუტი-ღა აკლდა.

ეს სახელები ბეჭდვითი სიტყვის გაუმჯობესებისთვის შემდგარ კომისიაში მკითხველის თვალში უფრო... მწარე დაცინვაა, სანამ შვებისა და სიკეთის წინამომბედი. მას არ შეუძლიან თავიდან მოიშოროს ის წინააღმდეგობა, რომელიც უმაღლესს უკაზის და მის განხორციელების შუა ამართული: ერთი მხრივ, ბეჭდვითი სიტყვის განთავისუფლება, მესამე მხრივ კი იუზეფოვიჩი, თავ. წერთელევი, მეშჩერსკი და მრავალი შევიწროება, რომელიც ამ უკანასკნელ დროს პროგრესიულ ორგანოებს თავს დაატყდა.

სრულებით გაუგებარია, რისთვის ან ვისთვისაა საჭირო ეს კომედია, ან ვინ უნდა აუხვიონ ამით თვალები? თუ მართლა სურთ ბეჭდვითი სიტყვა, გაანთავისუფლონ, მაშინ რა შუაში არიან მეშჩერსკები და წერთელევები და ან რატომ მათ არ აშორებენ იმ საქმეს, რომლის პრინციპიალური მტრობა იმათ ხელობად გადუქცევიათ?

ყველასათვის ცხადია, რომ ამ კომისიასაც ის ბედი მოელის, რაც ყველა წინანდელ კომისიებსაც ღირსებია დროა მივხვდეთ, რომ გაძლიერებულმა დაცვამ ბეჭდვითი სიტყვისამ ვერ შეაჩერა „მავნე“ აზრების ხალხში გავრცელება; ამ აზრებმა დღეს მთელი საზოგადოება მოიარეს, მოედვნენ ყოველ წრეს, ყოველ კუთხეს რუსეთის ცხოვრებისას.

განა „ნაში დნის“ აკრძალვა საზოგადოებრივ თვითცნობიერების ზრდას შეაჩერებს? განა „სინ ოტეჩესტვოს“ ყოველ-დღიური პარსვა და კრეჭა ცენზურის სადალაქოში საზოგადების დამშვიდებას გამოიწვევს?.. განა ცალკე ნომრების გაყიდვის აკრძალვა, როდესაც მკითხველი ახლა, დამრიგებელის მაგივრად, დუქანში ყიდულობს გაზეთ შეაჩერებს ტალღად ქცეულ საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოებრივ ძალებს?..

ჰო თუ არა?

ბატონო იუზეფოვიჩო! თავადო წერთელევო! ეხლა პორტ-არტურისა და მუკდენის შემდეგ ქვათაც კი დაიწყეს ლაღადი! აი, ამ ქვების პოლიციაში წაყვანა შეუძლებელია. მათი ხმა თქვენ ცენზურას არ ემორჩილება, მესამე გაფრთხილებაც იმათთვის კი არ არის საშიში, არამედ იმისათვის, ვის წინააღმდეგაც ისინი ლაღადებენ.

ბატონო წევრებო ბეჭდვითი სიტყვის კომისიისა! ნუ ვაჭრობთ, ნუღარ ყოყმანობთ და ნუღარ კარგავთ დროს სხვადასხვა ვრცელ კანონპროექტების შედგენაში. თუ გინდათ საზოგადოება თქვენ მუშაობის ნდობით მოექცეს, ეხლავე უმაღლესს ბრძანების განხორციელებას შეუდექით და ყველასათვის ცხადად დაამტკიცეთ, რომ თქვენ თვალის ასახვევად არ მუშაობთ. რუსეთის საზოგადოება და მწერლობა დიდს მადლობას გამოგიცხადებდათ, რომ ეხლავე მინისტრთა კომიტეტისათვის წარგედგინათ ის ზომები, რომელთა ასრულება **დაუყოვნებლივ** შეიძლება ბეჭდვითი სიტყვის გასანთავისუფლებლად. ყველა ამ ზომების შემუშავება ნახევარ საათში შეიძლება ადვილად.

ლამაზ-ლამაზი სიტყვები წერის თავისუფლების შესახებ, დიდი ხანია, გვსმენია და მათი ხელმეორედ წარმოთქმა და გამოცხადება უხერხულია. წინად იმას თვითონ მწერლობა იძახდა, ეხლა იმ სიტყვებს თქვენ იმეორებთ... და ახალ-ახალ ცირკულიარებს კი აცხობთ!

უკანასკნელის თხოვნით, მოგმართავთ თქვენ, ბატონებო, გააკეთეთ რამე ახლავე, სანამ არ დაგვიანებულა! დეე, თქვენ შორის ვინც პრინციპიალურად მოწინააღმდეგეა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა, დაანებოს თავი კომისიაში მუშაობას, იმ კომისიაში, რომელსაც ისინი თავის მონაწილეობით არცხვენენ და ჩირქსა სცხებენ...

რუსეთი

რუსეთის ცხოვრების განათლება საერთოდ და უნივერსიტეტის რეფორმა **არა სწამს გამოჩენილ ხიმიკოს პროფესორს მენდელეევს**. აი, რას ამბობს ის რუსეთის ცხოვრების დღევანდელ ვითარებაზე: უტყუარი საბუთებია იმისი, რომ პოლიტიკური წაქეზება დღეს რუსეთში უცხო ქვეყნიდან მოდის. აქამდის უცხო ფულით მოყიდული წამქეზებელნი ჩუმად იყვნენ და ახლა, როცა რეფორმებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იმათაც ნიღაბები ჩამოიხადეს. ახალგაზდობა აღელდა და, იცით—წარმოსთქვა განრისხებულმა მასწავლებელმა—ამაში ყველაზე მეტი დანაშაული მიუძღვის კლასიკურ განათლებას, რომელიც პოლიტიკის მნიშვნელობას აზვიადებს და მისდამი ინტერესს აღვიძებსო.

პროფესორს მერე რესპუბლიკაზე ჩამოუგდია საუბარი: „იცით, რესპუბლიკა რუსეთში უკვე არსებობდა, მაგრამ ხალხი მიხვდა, რომ იგი მხოლოდ თავ-მოყვარეობაში გაჯიბრებაა, როდესაც ყოველი ცდილობს თავის მოძმეს ფეხი გამოსდოს და წაქციოს. რაკი ამ აზრამდის მივიდა ერი, აიღო და რესპუბლიკის მაგიერ თვითპყრობელობა დაიარსა.“

შეკითხნენ სტუდენტების გაფიცვაზე პროფესორს. ამასაც კლასიკურ განათლებას აბრალებს, პროფესორების წერილები პროფესორმა სრულებით უადგილოდ დაინახა.

დღევანდელი მოძრაობა, მენდელეევის აზრით, ხელოვნურად არის გამოწვეული და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც, ნამდვილად, რუსეთი სრულებით დამშვიდებულიაო. მისი აზრით, არც აქვს ხალხს საბუთი უკმაყოფილოდ იყოს, რადგანაც ხალხი, ვინა სთქვა, რომ გაღარიბდა და გაჭირებაშიაო?.. მაგრამ, კმარა პროფესორის „აზრები“... შეიძლება კაცი თავის საგანში პროფესორი იყოს, მაგრამ სხვა კითხვების გამორკვევის დროს იმ მეწუღეს ჰგავდეს, რომელსაც ქადების ცხობისთვის მიუყვია ხელი...

კორესპონდენცია

ბათუმი.

ბათუმის ინტელიგენცია.—ვაჟთა გიმნაზიის არეულობა.—პოლიცია.

არც ერთ კავკასიის ქალაქში და, გგონებ, რუსეთშიაც არ მოიპოვება ისე სასტიკად დაჯაბნებული ინტელიგენცია, როგორც ბათუმში. დღეს ყოველგან ნება დართულია თავისუფლად ლაპარაკი და ბჭობა საერთო დღევანდელ ჭირვარამზე, იკრიბებიან ხშირ-ხშირად სხვადასხვა ქალაქებში, მაზრებსა და სოფლებში, ადგენენ რეზოლიუციებს და ბეჭდავენ გაზეთებში. აქ კი ასეთს ვერაფერს გაბედავთ. თუ გაგიგეს, მაშინვე პოლიცია გწვდება ყელში და საშინელ დღეს დაგაყენებს...

ამას წინად აქ აპირობდნენ პატარა კრების მოხდენას, მაგრამ ვერთასიანების უმოწყალოდ დასჯამ და ადმინისტრაციის ხშირმა გაფრთხილებამ საქმე შეაფერხა. ვაჟკაცური გამბედაობა ბათუმის ინტელიგენციაში არ გახლავთ... ადმინისტრაციას, აბა, რა ენაღვლება, თუ კი საზოგადოება ჩუმად იქნება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ თუ ინტელიგენციას ხმა ჩაუწყვეტინეს და ადარაფერს ალაპარაკებენ, ამით საერთო მშვიდობიანობა მაინც არ მყარდება...

დღეს აქაურ ვაჟთა გიმნაზიაში არა ჩვეულებრივი არეულობა მოხდა. ბავშვებმა, როგორც ამბობენ, ერთ თავიანთ ამხანაგს—გიმნაზიის—მოსწავლეს ჯაშუშობა შესწამეს და მაგ გიმნაზიაშივე მისცვივდნენ, სცემეს და გარედ გამოაგდეს. როცა ამისათვის მათმა უფროსებმა, გიმნაზიის მასწავლებლებმა, წინააღმდეგობა დაუწყეს, ბავშვებმა ჩაამტვრიეს ფანჯრები და გამოცვივდნენ გარედ.

ადმინისტრაციის სისასტიკემ ვერაფერი გააწყო. სასტიკად აკრძალულია ყოველნაირი მოძრაობა, რასაც კი მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი აქვს, მაგრამ ახალგაზდობა და მშრომელი ხალხი მაინც მოძრაობს, დღლავს... რასაკვირველია, ესასეც უნდა იყოს, ესენი ხომ არ ჰგვანან ინტელიგენციას, რომელსაც თავის კუჭის საქმე მოუწყვია და აკანკალებს, სარჩო არ დამეკარგოსო.

ამ ორი დღის წინად ვიღაცებმა ქალაქს მახლობლად დინამიტი სინჯეს,—ვნახოთ, როგორ იმოქმედებსო, და საშინლად მიანგრ-მოანგრია ცალიერი ადგილები. ასე გეგონებოდათ, მიწიდან გრიგალი ამოვარდაო.

რია.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 მარტი.

გოძიადანი, 18 მარტი. გენერალ ლინევიჩმა ჯარი დაათვალიერა და მხნეობა მოეწონა. ეხლანდელი ჩვენი პოზიციები საკმარისად არის გამაგრებული. სურსათი დაუბრკოლებლად მოდის.

პარიზი, 18 მარტი. ტოკიოდან ატყობინებენ „პტი პარიზიენს“, იაპონია მზად არის აპრილში ერთი ახლად შემდგარი დივიზია გადაიყვანოს სახალინზე.—მეხუთე კორპუსს დავალებული აქვს ლინევიჩის ლაშქარს ზურგიდან მოუაროს.

პარიზი, 18 მარტი. „ჰავასის სააგენტო“ უარჰყოფს ინგლისის გაზეთების ცნობებს, ვითომც დელკასე თავის კერძო სადგურში იაპონიის ელჩს ებაასებოდა. აქაური გაზეთები ამბობენ, ვითომც რუზველტმა სამშვიდობო შუამავლობა იკისრა. ამასაც უმატებენ, ვითომც რუსეთი თანახმაა კონტრიბუციის მაგიერ სახალინის სამხრეთი ნაწილი დაუთმოს იაპონიას.

პეტერბურგი, 19 მარტი. გაზეთები იუწყებიან, საგამომძიებლო კომისია დაინიშნა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს პორტ-არტურის დათმობის გარემოება. კომისიის თავმჯდომარედ სახელმწიფო რჩევის წევრი რიოოპი არისო.

ტოკიო, 18 მარტი. მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწე გენერალი ნაგოსკა ამბობს თავის მოხსენებაში, რომელიც აღმოსავლეთის საზოგადოებას წარუდგინა, მუკდენის ომი მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ომიაო. ბრძოლა 14 დღეს არ შეწყვეტილა. იბრძოდა 850,000 მეომარი; ლიაოიანთან 460,000 მეომარი იყო, შახეზე—580,000.

ლონდონი. აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ ფაქტს, რომ რუსის აგენტებმა პარიზიდან კიდევ დაიქირავეს ლონდონში რამდენიმე სანახშირო გემი, რომლებიც ბალტიის ესკადრის დასახვედრად გაიგზავნება. მორიგების დროს შეპირებულან, რომ გემები ბატავიის აღმოსავლეთისკენ არ გასცილდებიან. ამავე დროს ვლადივოსტოკისკენ გაგზავნილ ექვს სანახშირო გემს ბრძანება გაეგზავნება, რომ ბალტიის ესკადრას შეუერთდნენ დანიშნულ ადგილს. ორი მათგანი კოლომბოსა და სინგაპურს მისულა კიდეც. ეს ფაქტი იმას მოასწავებს, რომ ზავი მალე დაიდებაო.

ვაშინგტონი. ოფიციალურად უარყოფენ იმ ამბავს, რომ ვითომც რუსეთმა და იაპონიამ რუზველტს შუამავლობა სთხოვესო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, 18 მარტს 1905 წ.: „ცვლილება ლაშქრებში არ მომხდარა“.

19 მარტი.

პეტერბურგი. ბაქოს გუბერნია ხოლერით საშიშრად იქმნა აღიარებული.

ბაქო, 18 მარტი. ტეხნიკო საზოგადოების კრებამ დაადგინა, დეპუტაცია აირჩიოს, რომელიც სენატორ კუზმინსკის უნდა წარუდგეს ბაქოში მომხდარ არეულობის მიზეზთა გამომკვლევის გამო.

სტამბოლი. აბაშეთიდგან აქ მოვიდა მისსია და სულთანს მენელიკის საჩუქრები მოუტანა, რომელთა შორის სხვადასხვა იშვიათი ცხოველი და ათი სპილოს ეშვები. არწმუნებენ, მისსია განუცხადებს ხონთქარს მენელიკის ცნობას სრულიად-მუსულმანობის მოქმედების გამო, რომელიც სულთანს ემჩნევა რამდენისამე წლის განმავლობაში.

პარიზი. აქაურ დიპლომატთა წრეებში ამბობენ, ინგლისის სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ სასწრაფოდ დამზადდეს ახალი მოკლე-ლულიანი თოფები. ინდოეთში აჩქარებენ თოფხანის აშენებას, სადაც ინგლის-ინდოეთის ჯარისათვის ახალი თოფ-იარაღი უნდა დამზადდეს.

ტანჟერი, 18 მარტი. იმპერატორი ვილჰელმი გერმანიის საელჩოში მივიდა და თავაზიანად ესაუბრა მულეი-აბდელ-მელიკოს და სულთანის სხვა შაკიჯებს. შემდეგ იმპერატორმა მიიღო დიპლომატთა კორპუსი, კონსულები და მანდილოსნები. ამ დროს ბაზრის მოედანზე ხალხი მხიარულობდა. ამის შემდეგ იმპერატორი აქედან გაემგზავრა. საპასუხო სიტყვა, რომელიც იმპერატორმა გერმანელთა კოლონიას უთხრა, ლონდონში მუქარად მიაჩნიათ ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულობის წინააღმდეგ მაროკოს შესახებ.

გიბრალტარი. გერმანიის ჯავშნოსანი „ფრიდრიხი“, ნავთსადგურში რომ შედიოდა, ინგლისის ჯავშნოსანს «პრინც გიორგის» დაეჯახა. ორივე გემი მცირედ დაზიანდა.

ბერლინი. ინგლისელები აალელვა იმ ამბავმა, რომ ტახტის მაძიებელი რაისულა, ვითომც გერმანიის ელჩის შუამდგომლობით, თავისუფლად გაატარეს გერმანიის იმპერატორის სანახავად. ამის გამო «ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი» ამბობს, მაროკოს მთავრობამ რაისულა, როგორც ერთის ოლქის გუბერნატორი, მოიწვია გერმანიის იმპერატორის დასახვედრად და პატივსაცემად.

პარიზი. „პტი პარიზიენი“ იუწყება, ინგლისის მეფე-დედოფალი კოპენჰაგენიდან გერმანიას გაემგზავრებიან და იქიდან საფრანგეთს. ინგლისი ემზადება დიდი ამბებით დაუხვდეს საფრანგეთის ფლოტს, რომელიც სპიტხედს უნდა მივიდეს.

ტანჟერი. იმპერატორმა უთხრა გერმანელთა კოლონიის წარმომადგენლებს, ჩემი მოსვლა ხელს შეუწყობს გერმანიის ვაჭრობასა და მაროკოს ინტერესებს, რომლის უზენაესი უფლებანი და სამფლობელო ხელშეუხებლად დაცულ იქმნებაო.

სტამბოლი, 18 მარტი. რიზა-ფაშამ სანოაზე გაილაშქრა, იემენის უმთავრეს დაბაზე. პორტა პროტესტს აპირობს.

მოსკოვი, 18 მარტი. სხვადასხვა გუბერნიების კრებათა წარმომადგენელნი განუწყვეტლივ ბჭობენ მომავალ საშინაო რეფორმების შესახებ.

მინსკი. სინოდის უკაზით სემინარია დაკეტეს, შეგირდები გამორიცხეს.

პსკოვი. მომრიგებელი მოსამართლე არჩევს მოსწავლეთა დაწიოკების საქმეს იმის გამო, რომ 7 თებერვალს უწესოება მოახდინეს.

სტამბოლი. საპატრიარქოში კრიზისი გათავდა. პორტა დასთანხმდა, რვა მიტროპოლიტი თავის ეპარქიებში დაბრუნდეს.

იოჰანესბურგი. მილნერმა სთქვა ბანკეტზე ჩრდილო-აფრიკის პოლიტიკისა და ბურებ-ინგლისელების სრულ გათანასწორების შესახებ: «ჩვენ მხედველობაში გვექნება ბურების მოთხოვნილება, ხოლო უმთავრეს პირობებში დათმობა არ შეგვიძლიანო».

ფრიტოუნი. აქედან ექსპედიცია გაგზავნეს, რომელმაც უნდა იმოქმედოს საკუთრად კისსი-კისსის ერის წინააღმდეგ.

ასხაბადი. ეხლა-ხან კასპიის იქით მხარეს დასახლებული მალაკნები ამერიკაში იხიზნებიან. მიზეზი—გვალვა და მოუსავლიანობა.

ვიატკა. საგუბერნიო კრებამ დაადგინა, სთხოვოს მინისტრს, მალე მოიწვიოს უმაღლესად ნაბრძანები საბჭო და მწერლებს ნება ჰქონდეს თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი საბჭოს [illegible] დების შესახებ.

ლონდონი. ფინანსიური წელი 18 მარტს დასრულდა. შემოსავალმა 1,864,839 გირვანქით იმატა.

პარიზი. სენატში ბიუჯეტის განხილვის დროს რიომ მოითხოვა, სამხედრო ხარჯი შემცირდესო. მინისტრ-პრეზიდენტმა რუვიემ უპასუხა, ხარჯის მომატება სხვა სახელმწიფოთა მიხედვით მოგვდისო. ქვეყანას შეუძლიან ხარჯი აიტანოსო. მთავრობა მოვალეა ასრულოს თავისი სიტყვა, დემოკრატიას რომ მისცა, მაგალითად, მომუშავეთა პენსიების შესახებ, ხოლო საჭიროა ვიზრუნოთ, რომ ხარჯი ხალხის ძალღონეს არ აღემატოსო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი,
ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (ნაშუადღევის 3 ს. 05 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

განცხადებანი

გამგეობა
ქონებათა ურთი-ერთ შორის დამზღვევი საზოგადოებისა ტფილისში
ამით უცხადებს საზოგადოების წევრებს, რომ, რადგან ექვსი მარტისათვის დანიშნული კრება არ შესდგა, კვირას, 20 მარტს, შუადღის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია
საზოგადო კრება.
ამ კრებას განსახილველად ექმნება ყველა ის საკითხები, რომელიც დანიშნული იყო 6 მარტს, იმ საკითხის გამოკლებით, რომელიც ეხებოდა საზოგადო კრებების რწმუნებულთა კრებებით შეცვლას.
ამასთან გამგეობა აცხადებს ბ.ბ. წევრთა საყურადღებოდ, რომ, საზოგადოების წესდების § 27 ძალით, დანიშნული კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
2—6—2.

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი—20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.
ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
(10—31—4)

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში,

---

ჩინაც მონაა მაგრამ თავისი ერთგულებითა და თავდადებულის სამსახურით აქამდის მოაწია, რომ თავისიანებისავე ჯალათად დანიშნეს.

„ყველა ბატონის ერთგული და მისი მორჩილი უნდა იყოსო“—ფიქრობდა ჩინა და თან, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, სცემდა.

„ბურთი ჩასჩარე პირში, მაგ ძაღლსა, ხმა არ ამოიღოს, კვნესით კი იკვნესოს, რამდენიც უნდა... იცოდე, ჩინა, მაგისი ხმა ამ ოთახიდგან არ უნდა გავიდეს.—დაჰკა მაგ პირუტყვს!.. ჩემი მონა, სულითა და ხორცით ჩემი საკუთრება თავისთავზე განა ლაპარაკსა ჰბედავს?!.. დაჰკა, სისხლი ადინე, რომ მაგისი სისხლით ერთხელ კიდევ ჩავწერო ჩემს დღიურში მაგისი თავხედობა და ურჩობა“..

ბატონმა მონის წყლულში ჩაჰკრა კალმის წვერი, გადაშალა დღიური და ჩასწერა: „დღეს კიდევ გავწკეპლე ჩემი მონა ურჩობისათვის... ეს მეასეა.. ან მოკვდეს, ან დამმორჩილდეს“...

დაჰკა!.. ღრიალებდა გაბოროტებული ბატონი.—გულს ამოვაცლი, შუაზე გავუპობ და შიგ ჩემ მორჩილებას ძალით ჩავნერგავ!

ჩინა სცემდა...

მონა კვნესოდა...

„ბატონო, ზურგზედ მთელი კანი აღარა აქვს.

—გადააბრუნე!

ჩინამ ფეხის წაკვრით მონა გადააბრუნა.

საშინელი სანახავი იყო უბედური მონა: თვალები სისხლით ავსებოდა, სახე დალმეჭოდა, ტუჩები გალურჯებოდა. სიბრაზისა და ბოღმით ალსავსე გული ძალზე უცემდა, თვალებში ეხატებოდა საშინელი ზიზღი მტარვალისადმი და სიბრალული თავისი მოძმისა, რომელიც ასე ბრმად ემორჩილებოდა ბატონის ბრძანებას... ოხ, როგორ სწყუროდა ახლა თავისუფლება, როგორ უნდოდა ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა... მაგრამ...

უძლური, შებოჭვილი ეგდო მონა გულ-აღმა და ჩინას ხელით მაღლა ამართულ წკეპლებს ზიზღით შეჰყურებდა...

...დაჰკა, ჩინა!.. ფეხებიდან დაიწყე... უფრო დიდხანს გასტანოს ტანჯვამ ..

ჩინა სცემდა... წკეპლები ხარხარობდნენ.

მონამ უმატა ტოკვას.. და უკანასკნელ ძალღონე მოკრებილი წამოდგომას ლამობდა.

—საზიზღრებო, დაიგმინა მონამ.

—დამმორჩილდი!.. დაიყვირა ბატონმა.

—არაოდეს!.. მტარვალო!..

გააფთრებული ბატონი მივარდა მონას, წიხლი ჩაჰკრა და დაიღრიალა:

„დაჰკა! ჩინა, დაჰკა!.. მოჰკალ!

ჩინამ ზედ გულზე დაჰკრა წკეპლები. საშინელი შხუილი და ტლაშანი გაისმა...

გულშემზარავი კვნესა მონისა შეუერთდა ამ ჯოჯოხეთურ ხმებს.

ერთ წუთს ყველაფერი დადუმდა... ჯალათები ერთ ხანს დასცქეროდნენ უძრავ მონას... მერე ბატონმა თავში ფეხი წაჰკრა...

მონა შეინძრა... ღონივით გაიზმორა... სიცოცხლის ძალა დაუბრუნდა, მძლავრი მკლავები მოიქნია, გაჰგლიჯა თოკი და წამოვარდა. .

თავზარდაცემულმა ბატონმა სასოწარკვეთილებით შეჰღრიალა:

«დაჰკა, ჩი... ნა...

მაგრამ გათავება აღარ დასცალდა... თავისუფალი მონა გააფთრებული მივარდა ბატონს, ასწია და იატაკს დაანარცხა...

სულთ-მობრძავი ბატონი, დალმეჭილ-დაგრეხილი ძირს ეგდო და ტოკავდა... კვნესოდა...

„შენც?!. მიუბრუნდა მონა ფერ-მიხდილს, მის წინ დაჩოქილ ჩინას...

ეს იყო განსჯა-განკითხვის წუთი. .

საშინელმა, სამარისებურმა დუმილმა მოიცვა იქაურობა... განთავისუფლებული ადამიანი გადავვარებულ მოძმეს ასამართლებდა.

ჩინა თრთოდა, ცახცახებდა... მონად ქცეული მოძმის ჯალათი ჩაფერფლილიყო...

მზემ მხიარულად შემოაშუქა წამების ოთახში. წამებული გამოფხიზლდა და, მიწაზე მლოდავი ჩინა რომ დაინახა, ზიზღ-ნარევის კილოთი უთხრა:

—შენთვის კი, მონათა-მონავ... მიპატიებია!..

ვალიკო გურული.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 19 марта 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.